ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

გვანცა კაკაბაძე

ინდივიდუალური მოპყრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: მორის შალიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი.....4

შ ე ს ა ვ ა ლ ი.....5

თავი I. არასრულწლოვანთა დანაშაული.....9

&1 - კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დანაშაული.....9

&2 - კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში.....10

&3 - არასრულწლოვანთა დანაშულის თავისებურებანი.....12

&4 - არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.....15

&5 - სახელმწიფოს ვალდებულებები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ.....21

&5.1 - თავისუფალი განვითარების უფლება - კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლება.....233

თავი II. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა - ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იუვენალურ სისტემაში.....255

&1 - ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით.....255

&1.2 - არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა - ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იუვენალურ სისტემაში.....266

&3. - ინდივიდუალური მოპყრობისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა.....29

თავი III. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ადგილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....33

&1 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მინისტრთა ერთობლივი ბრძანების მიხედვით.....333

&1.2 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების სტადიები.....34

&1.3 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება.....377

&1.3.1 - ინდივიდუალური შეფასებისთვის განსაზღვრული დრო და პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა.....411

&2 - არასრულწლოვანის შეფასებისას მხედველობაში მიღებული და მის მიღმა დარჩენილი გარემოებები.....433

&3 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება პატიმრობის გადაწყვეტილების დროს.....455

3.1. - პატომრობა, როგორც არასრულწლოვანი ბრალდებულისადმი გამოსაყენებელი უკიდურესი ღონისძიება.....466

&3.2 – „გამარტივებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში“ - არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდების აუცილებელი წინაპირობა.....50

თავი IV. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ქართულ მართლმსაჯულების პრაქტიკაში 52

&1 - მართლმსაჯულებაში გამოყენებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების განზოგადება და მისი შედეგები 52

&2 - რეკომენდაციები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასებისთვის 54

დ ა ს კ ვ ნ ა 55

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა 57

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ამკ - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

გვ. - გვერდი

ე.ი. - ესე იგი

რედ. - რედაქტორი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სხვ. - სხვა

შესავალი

დაბადებიდან, თითოეული ჩვილი ხდება იმ საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია მის სწორ აღზრდასა და განვითარებაზე. ბავშვი, საკუთარი „მე“-ს განვითარებას, გარშემო მყოფ ადამიანებზე დაკვირვებითა და მათი საქციელის მიბაძვით იწყებს, რის შედეგადაც უყალიბდება ის პრინციპები და ფასეულობები, რომელთა დაცვითაც სურს წარმართოს თავისი მომავალი. არასრულწლოვნობის პერიოდი არის ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ნაწილი.

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. ეს არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცდილობს განმარტოს არასრულწლოვნის დეფინიცია და მიუთითებს, რომ ეს არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. არასრულწლოვნებისა და მოზრდილობის პერიოდი, არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, რომელიც დინამიკურობით, ცვალებადობით გამოირჩევა. სწორედ ამ დროს, არასრულწლოვანი აღწევს გარდატეხის ასაკს, რომელსაც, ფსიქოლოგები ახასიათებენ, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისულ პერიოდს, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება; ეს პერიოდი გარდატეხაა ბავშვობიდან მოზრდილობაში და კრიზისულია სწორედ იმიტომ, რომ პირი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც - მოზრდილი.[1] სწორედ ამ დროს, პიროვნებაში ხდება ღირებულებების გადაფასება, საკუთარი ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება და სამომავლო გეგმების განსაზღვრა. თუმცა, ამ ასაკთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მოზარდი თავისი მომავლის განჭვრეტისას, მხოლოდ სასურველ შედეგზეა ორიენტირებული და არა იმ გზებსა თუ საშუალებებზე, რომლებიც აუცილებელია საბოლოო მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ხდება იმ მატერიალური ნორმებიდან გადახრა, რომლებიც დადგენილი და გაბატონებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში, რაც ჩვენს რეალობაში, თანდათან უფრო პრობლემური და აქტუალური ხდება.[2]

ქართულ მედია სივრცეში დღითი დღე მატულობს ინფორმაცია ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში მომხდარი დანაშაულის თაობაზე. უფრო ხშირად გვესმის, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია არასრულწლოვნის ან არასრულწლოვანთა ჯგუფის მიერ, რომ მათ გაქურდეს მაღაზია, დააყაჩაღეს პირი, დაჭრეს სხვა მოზარდი და ა.შ. საგანგაშო მდგომარეობაზე მეტყველებს უახლოეს წარსულში მომხდარი არაერთი დანაშული. მოზარდები, მათში დაგროვილი პროტესტის გრძნობისა და აგრესიის გამოხატვის გზად, დანაშაულის ჩადენას ირჩევენ. შედეგად, კანონთან კნფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ხდება საკუთრი ქმედებისა და მცდარი

[1] ჩხაიძე ა, „გარდატეხის ასაკი (11-18 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება) მშობლის მეგზური“, world vision, 2018 წყარო: https://www.wvi.org/

[2] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 1

გადაწყვეტილების მსხვერპლი, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის უტყუარი წინაპირობაა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფართო გაგებით, არის პროცესი მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე. ეს პროცესი მოიცავს როგორც არასრულწლოვნის სამართალდამცავ სტრუქტურებსა (პოლიცია, პროკურატურა) და სასამართლო ორგანოსთან ურთიერთობას, ისე მისი აღზრდისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებს პენიტენციურ სისტემაში, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია მოზარდის პიროვნების, სოციალური გარემოს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და ხელის შემწყობი პირობების კრიმინოლოგიური საფუძვლების ანალიზის გარეშე.[3]

დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობა მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვნის უფლებების სათანადოდ დასაცავად არსებობდეს შესაბამისი მექანიზმები, რომელთა სახელმძღვანელო პინციპიც იქნება სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და აქცენტი გაკეთდება არა მის დასჯაზე, არამედ - რესოციალიზაციაზე.

ქართულ მართლმსაჯულებაში ერთ-ერთ პროგრესულ ნოვაციად მიიჩნევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო. აღნიშნული კოდექსი განამტკიცებს არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას, რაზეც ასევე ხაზგასმითაა საუბარი 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაში. კონვენციის მე-8 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცენ ბავშვის ინდივიდუალურობას და დაიცვან ის, ინდივიდუალურობის შელახვისგან.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი მჭიდრო კავშირშია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ინსტიტუტთან, რომელსაც ასევე ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მსგავსი მოდელის ამოქმედების რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2010 წლის 20 იანვარს მიღებული რეკომენდაციით მისცა - „პრობაციის ორგანოების მუშაობა უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას სასამართლო ორგანოებისათვის, რათა დაეხმაროს ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის, ან სხვა ღონისძიებების შეფასების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, პრობაციის ორგანოები რეგულარულად უნდა უკავშირდებოდნენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, სადაც ასეთი ანგარიში შესაძლებელია საჭირო იყოს. სასჯელის შეფარდებამდე მომზადებული ანგარიშები

[3] იქვე. გვ. 2

უნდა ეფუძნებოდეს პირველწყაროს და რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყოს გადამოწმებული“.[4]
როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მისი კეთილდღეობა, ასაკი, განხორციელებული ქმედებისთვის კი ისეთი სასჯელი უნდა განესაზღვროს, რომელიც უფრო მეტად ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას და ნაკლებად იქნება მიმართული მისი დასჯისკენ.[5]

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული იქნება არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებანი, მისი გამომწვევი მიზეზები და სახელმწიფოს ვალდებულება, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნის მიმართ. მთავარი აქცენტი გაკეთდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მოპყრობის აუცილებლობასა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე, როგორც ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფის აუცილებელ ინსტუმენტზე.

საკითხის აქტუალურობა - მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ლატენტურობით ხასიათდება და მათი უმეტესი ნაწილის აღრიცხვა პოლიციის ანგარიშებში არ მომხდარა, მსჯავრდებული არასრულწლოვნების სტატისტიკური მაჩვენებლებიც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ არც ისე ცოტა არასრულწლოვანია მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი. სახელმწიფოს ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრია ამ არასრულწლოვანთა მიმართ, რათა უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა და თავისუფალი განვითარება. სწორედ, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენებითაა შესაძლებელი თითოეული მსჯავრდებული არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის გეგმის დასახვა და მისი სისრულეში მოყვანა. ამისათვის კი აუცილებელია, სწორად მოხდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა, ყურადღება გამახვილდეს მთავარ გარემოებებზე და მხედველობის მიღმა დარჩეს მეორეხარისხოვანი ფაქტები.

ნაშრომის მიზანი - წინამდებარე ნარომში განხილული იქნება იუვენალურ სისტემაში არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ისე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ნაშრომის კვლევის მიზანია მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურად მოპყრობასთან, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებული სირთულეების წარმოჩენა და აღნიშნული პრინციპის სისრულეში მოყვანის საუკეთესო გზების დასახვა.

---

[4] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 105-ე სხდომაზე), პუნქტი 42-43
[5] მახარობლიძე თ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017, გვ. 78

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი - ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მუხლების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი „ბავშვთა უფლებების შესახებ“ გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის შესაბამის მუხლებთან, გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების, ე.წ. „პეკინის წესები“-ს შესაბამის მუხლებთან მიმართებით. გარდა ამისა, გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, ლოგიკური და სხვა მეთოდები. ასევე, გამოყენებულია სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემები, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების შესწავლა და განზოგადება.

ნაშრომის თეორიული საფუძვლები - ნაშრომის წერისას გამოყენებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების თაობაზე შექმნილი ქართული და უცხოური სახელმძღვანელოები, სტატიები, კვლევები.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, 19 პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თავი I. არასრულწლოვანთა დანაშაული

&1 - კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დანაშაული

დანაშაულის ცნებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციისთვის. საქართველოს სსკ-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ეს არის სამი ელემენტისგან შემდგარი დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი. ამ ელემენტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის. თვდაპირველად საჭიროა დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, სისხლის სამართლის კოდექსში მისი გათვალისწინების ფაქტი, რის შემდეგაც, ჩადენილი ქმედება უნდა შეფასდეს მართლწინააღმდეგობის პოზიციიდან, ხოლო ბრალის დადგენა იმას ნიშნავს, რომ ჩადენილია დანაშაული და ამის შემდეგ გადაწყდეს, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების თუ რა ზომები უნდა დაეკისროს დანაშაულის ჩამდენ პირს.[6]

საგულისხმოა, რომ ქართული კანონმდებლობა არ გვაძლევს არასრულწლოვანთა დანაშაულის ტერმინის განმარტებას, არამედ, საუბრობს მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.[7] კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის განმარტებას კი ამკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა.[8] ყოველივე გათვალისწინებით კი შეიძლება ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნება და ითქვას, რომ მის ქვეშ მოიაზრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც ჩადენილია 14-17 წლის მოზარდების მიერ.

---

[6] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2016, გვ. 103

[7] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი

[8] იხ. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი

&2 - კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში

კრიმინოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი სისხლისსამართლებრივი (სტატისტიკური) მეთოდია. სტატისტიკა არის მეცნიერება მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების შესახებ.[9] ეკონომიკური, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას დანაშაულის მიზეზებისა და პირობების შესახებ, რაც კრიმინოლოგიაში სტატისტიკური მეთოდის ხშირად გამოყენებას განაპირობებს.

კრიმინალური სტატისტიკა თავის თავში მოიაზრებს მათემატიკურ ციფრებს, რომლებიც კონტროლის ორგანოების მიერ სისტემატურად აღინიშნება დამნაშავის და/ან დანაშაულის შესახებ წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, ესე იგი, კრიმინალური სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, სტრუქტურა და დინამიკა.[10]

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ შედეგად აჩვენა, რომ იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასრულწლოვნების პერიოდში კანონი არ დაურღვევია, თუმცა, შესაძლებელია ეს დარღვევა (დანაშაული) გამოუვლენელი დარჩა, ვინაიდან, არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთი თავისებურება, მისი ლატენტურობაა. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული არ ითვლება ოფიციალურად არსებულად მანამ, სანამ მასზე არ მოხდება სამართლებრივი რეაგირება, აღნიშნული კი იმას გულისხმობს, რომ არასრულწლოვნების მხრიდან ჩადენილი დარეგისტრირებული (ოფიციალური) და ფაქტობრივად არსებული დანაშაულის რიცხვი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება.

საქართველოში, არასრულწლოვანთა დანაშაულის გამორკვევისა და შეფასებისათვის ძირითადად გამოიყენება ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რაც საკმარისი არ არის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სრული რიცხვის დასადგენად, თუმცა დაპატიმრებულთა რაოდენობის დადგენისა და მათ მიერ განხორციელებული ქმედების შეფასების საშუალებას იძლევა.

ბოლო წლების სტატისტიკის შესწავლის საფუძველზე შესაძლოა რამდენიმე გარემოების გამოყოფა. პირველ რიგში, ვისაუბროთ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაზე, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,[11] მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, ბოლო 6 წლის მანძილზე, მერყეობს 145-დან 475 არასრულწლოვნამდე, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 1.3-4.3%-ს შეადგენს.

---

[9] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

[10] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 3

[11] იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის გარდა, საინტერესოა მათი სქესისა და ასაკის სტატისტიკური მაჩვენებლებიც. 2012-2017 წლებში, იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა ასაკიც 14-15 წელს შეადგენს, მერყეობდა 39-დან 129 არასრულწლოვნამდე, ხოლო 16-17 წლის მსჯავრდებულთა რაოდენობა - 107-დან 346 არასრულწლოვნამდე.[12] სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უმეტესობა ბიჭები არიან. ამავე მონაცემების მიხედვით, მსჯავრდებულ გოგონათ რაოდენობამ 2012 წლიდან შემცირება იწყო და 2-დან 25 პირამდე მერყეობდა.[13]

აუცილებელია იმ სტატისტიკური მონაცემების განხილვაც, რომელიც ეხება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა განათლებისა და დასაქმების სფეროს. კერძოდ, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2012-2017 წლებში მსჯავრდებულთაგან 118-307 არასრულწლოვანი, დანაშაულის ჩადენის დროს, არ სწავლობდა/არ მუშაობდა.[14] 2017 წელს ამ მაჩვენებელმა მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის მაქსიმუმი, 78% შეადგინა.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმის დადგენაც, თუ რამდენად ხშირად ჩადიან არასრულწლოვნები დანაშაულს ჯგუფურად. 2012-2017 წლებში რეგისტრირებულ არასრულწლოვანთა დანაშაულებს შორის, ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მცირე რაოდენობა (5 შემთხვევა) 2017 წელს დაფიქსირდა; არასრულწლოვნების მიერ ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი - 2012 წელს და შეადგინა 77 შემთხვევა.[15]

საინტერესოა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის დინამიკა დანაშაულის სახეების მიხედვით. არსებული სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანი დელიქვენტები ძირითადად ეკონომიკური სახის დანაშაულს ჩადიან, უმეტესად კი - ქურდობას. მათ მიერ განხორციელებულ დანაშაულთა შორის მცირე ადგილი უჭირავს ძალადობრივ დანაშაულებს და მინიმალურია სქესობრივი დანაშაულების ადგილი. კერძოდ, ბოლო 6 წლის მანძილზე, რეგისტრირებულ დანაშაულთა შორის, გაუპატიურების შემთხვევა დაფიქსირდა მხოლოდ სამ - 2013, 2015 და 2016 წლებში, მაქსიმალურ ოდენობას კი 2013 და 2016 წლებში მიაღწია, რომელმაც 2 შემთხვევა შეადგინა.[16]

სტატისტიკის ანალიზი გვეხმარება იმის დადგენაშიც, თუ რამდენად ხშირად გამოიყენებს სასამართლო თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2012-2018 წლებში, სულ მსჯავრდებულ იქნა 2 157 არასრულწლოვანი,

[12] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf
[13] იქვე, გვ. 83
[14] იქვე, გვ. 83
[15] იქვე, გვ. 83
[16] იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

საიდანაც, სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა 535 არასრულწლოვანს შეეფარდა,[17] რაც, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა თითქმის 25%-ს შეადგენს.

&3 - არასრულწლოვანთა დანაშულის თავისებურებანი

არასრულლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები საზოგადოებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. მოზარდთა დანაშაული ყოველთვის იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 2-3 წლის მანძილზე, ქართულ მასმედიაში უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით სიახლეს ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც მოზარდმა ჩაიდინა. შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ერთგვარ სენად იქცა ქართული საზოგადოებისათვის. მისი გავლენის შესამცირებლად და საბოლოოდ, დასამარცხებლად, საჭიროა ქვეყანაში სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და „ბრძოლის“ მექანიზმების შემუშავება. თუმცა, სანამ აღნიშნულ საკითხს შევეხებით, აუცილებელია იმის დაზუსტება, თუ რა თავისებურებანი ახასიათებს არასრულწლოვანთა დანაშაულს.

არასრულწლოვანთა დანაშაულობა, ზოგადად, დანაშაულობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მას საკუთარი, დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. პროფესორი ი. გოძიაშვილი ამ დანაშაულობის თავისებურებებს გამოყოფს და ამბობს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიშია, რადგან ნაკლებ ზიანს აყენებს მას. იგი არის მაღალლატენტური დანაშაული, უმეტეს შემთხვევაში ჩადენილია წინასწარ მომზადებული გეგმის გარეშე; ხასიათდება ჯგუფურობით და ძირითადად ხასიათდება მამრობითი სქესის წარმომადგენლებში, რომლებიც დაბალი კრიმინალური ენერგიით გამოირჩევიან. „მოზარდთა დანაშაულობასთან შედარებით არასრულწლოვანთა დანაშაულობა საზოგადოებისთვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ დანაშაულს ნაკლები ზარალი მოაქვს და რომ აქ შედარებით დაბალია მძიმე დანაშაულობათა წილი“.[18]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არასულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური მოვლენა, ახაიათებს ეპიზოდურობა და საზოგადოების ყველა ფენაშია გავრცელებული, არაის მაღალლატენტური და ხშირად, ჩადენილია ჯგუფურად. მთავარ თავისებურებას კი დამნაშავის ასაკი წარმოადგენს. საინტერესო იქნება თითოეული ამ ნიშნის ცალ-ცალკე დახასიათება:

- *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ასაკი:*

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მრავალი მოსაზრება, არასრულწლოვნის ასაკის განმარტებასთან დაკავშირებით. დღეს, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის

[17] იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

[18] ი. გოძიაშვილი, კრიმინოლოგია. თბილისი, 1998. გვ. 187

საფუძვლზე შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანია 14-17 წლის ასაკის მოზარდი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება.

14-17 წლის მოზარდისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა ე.წ. „გარდატეხის პერიოდი", რომლის შესახებაც საუბარი იყო ნაშრომის შესავალში. მოზარდები, ამ ასაკში, ხშირად ჩადიან ისეთ ქმედებებს, რომლებიც საზოგადოდ გავრცელებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. გარდატეხის პერიოდში არასრულწლოვნის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური ცვლილებებით გამოწვეული სირთულეების გამო, მოზარდი შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფება, რის გამოც, არასრულწლოვნობის პერიოდში დანაშაულის ჩადენა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით, ერთგვარ შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ასაკის თაობაზე საუბრისას, საინტერესო იქნება აქვე არასრულწლოვანთა დანაშაულის ისეთ მახასიათებელზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა ამსრულებლის სქესი. მე-2 თავში განხილულმა სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი დანაშაულობა უმეტესად მამრობითი სქესის სამართალდამრღვევებით ხასიათდება და ძირითადად, 16-17 წლის ასაკის მოწარდებში ვხვდებით. ბოლო 5 წლის მანძილზე, მამრობითი სქესის წარმომადგენელ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა სრული რაოდენობის 95-97%-ს შეადგენს, 16-17 წლის მსჯავრდებულთა რაოდენობა კი, სრული რაოდენობის - 70-72%-ს.

- ***არასრულწლოვანთა დანაშაული - ლატენტური დანაშაულის ერთ-ერთი სახე:***

ლატენტურად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ, არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია.

ლატენტური დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოკითხვაში იმის თაობაზე: 1) ჩაუდენიათ თუ არა დანაშაული (დამნაშავის გამოკითხვა); 2) გამხდარან თუ არა დანაშაულის მსხვერპლნი (მსხვერპლის გამოკითხვა); 3) ცნობილია თუ არა მათთვის დანაშაულის ჩადენის ფაქტი (ინფორმაციული გამოკითხვა).[19]

ლატენტური დანაშაულის კვლევის საფუძველზე, კრიმინოლოგი კაიზერი მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ეს პოლიციის სტატისტიკით არის რეგისტრირებული; რომ

[19] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 11

ძირითადად ლატენტური დანაშაულის კვლევა მსუბუქ დანაშაულებს ავლენს, მძიმე და განსაკუთრებით მძმე სახის დანაშაულები კი ოფიციალურად რეგისტრირებულია; არასრულწლოვან დელიქვენტებს შორის, გაცილებით დაბალია არასრულწლოვანი გოგონების რაოდენობა, ვიდრე - ბიჭების და, რომ არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დაისაჯნენ სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან.[20]

- *არასრულწლოვანთა დანაშაული - ჯგუფური დანაშაული:*

დღეის მდგომარეობით არსებული არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკის განხილვისას, მეორე თავში აღვნიშნეთ, რომ ამ დანაშაულობის ერთ-ერთ თავისებურობას მისი ჯგუფურად ჩადენა წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, მოზარდების მიერ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა რამდენიმე გარემოებით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, სხვა პირთან (პირებთან) ერთად ქმედების განხორციელებისას, მათ გამბედაობა და თვითდაჯერებულობა ემატებათ. გარდა ამისა, მათ ესაჭიროებათ ვინმე, ვინც სხვებს უამბობს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და რაც მთავარია, დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა, ჯგუფის წევრად მიღების ყველაზე მარტივი გზაა, რაც, თანამედროვე საქართველოშიც კი, საკმაოდ აქტუალურია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის.

- *არასრულწლოვანთა დანაშაულობის ნორმალურობა და ყველა საზოგადოებაში გავრცელებულობა:*

ჯერ კიდევ თემის დასაწყისში, აღინიშნა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული კაცობრიობისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, რასაც ის კვლევებიც ადასტურებენ, რომელიც ლატენტური დანაშაულის გამოსავლენად ტარდება. როგორც უკვე აღინიშნა, ჩატარებული კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი თუნდაც მსუბუქი დანაშაული, რაც ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა დანაშაულის, როგორც საზოგადოებისთვის დამახასიათებელ, ნორმალურობას. თუმცა, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მხოლოდ ის არასრულწლოვნები ექცევიან, რომლებიც დანაშაულს არა ერთჯერადად, არამედ სერიულად ჩადიან.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის გარშემო ჩატარებულმა კვლევებმა და არსებულმა სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა ასევე დაადასტურეს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული, გარდა იმისა, რომ ნორმალური მოვლენაა, ყველა დროსა და საზოგადოების ნებისმიერ ფენაშიც არის გავრცელებული.

- *არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეპიზოდურობა:*

[20] იქვე. გვ. 11-12

სხვა თავისებურებებთან ერთად, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის დამახასითებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ეპიზოდურობა. აღნიშნული ნიშნავს, რომ მოზარდმა, გარდატეხის ასაკიდან ზრდასრულობამდე, ნებისმიერ პერიოდში შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული.

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ დანაშაულებრივი ქმედებები ადამიანში 14-დან 21 წლამდე პერიოდში მატულობს, რაც გარდატეხის პერიოდთან და სოციალიზაციის სირთულეებთან არის დაკავშირებული, დანაშაულებრივი ქმედებები კი უმაღლეს ზღვარს 16-დან 18 წლამდე ასაკში აღწევს, რაც ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლებითაც დასტურდება. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ სახეზე გვყვანან პირები, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, ან პირები, რომლებამც კრიმინალურ კარიერას მიჰყვეს ხელი. ადამიანის სრული ჩამოყალიბება 30 წლის ასაკის მიღწევისას სრულდება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუ პირს ამ ასაკის მიღწევამდე დანაშაული არ ჩაუდენია, დაბალია იმის შესაძლებლობა, რომ მან ასეთი ქმედება მომავალში ჩაიდინოს. [21]

&4 - არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

იმისათვის, რომ დანაშაულის აღმოფხვრის გზები მოინახოს, პირველ რიგში, საჭიროა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების, პირობების მოძიება და მათი თავიდან აცილება. მიზეზი, ეს ხომ ყველაფრის პირველსაწყისია.

დანაშაულის გამომწვევი პირველი მიზეზი არის გარემოება, რომლის გარეშეც ის ვერ იარსებებდა. ერთი სახის სიტუაციები ქმნიან მიზეზს დანაშაულისთვის, ხოლო მეორე სიტუაცია მას უკვე დანაშაულად აქცევს, ამიტომ, პირველს ვიხილავთ როგორც სიტუაციას, სადაც იქმნება მიზეზები დანაშაულის ჩასადენად, ხოლო მეორეს - სიტუაციას, სადაც პირობებია დანაშაულის ჩასადენად.[22]

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას, როგორც წესი, სოციალური-ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს.[23]

არასრულწლოვნებში, დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზად პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი მათი ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროს ასახელებს: სწავლა, შრომა, ყოფა და დასვენება.[24] არასრულწლოვნებში ხშირია სწავლისადმი დაქვეითებული ინტერესი, თუმცა ჩვეულებრივი მოვლენაა სიამოვნების მიღებისკენ, ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული საშუალებების მიღებისკენ სწრაფვა;

---

[21] იქვე. გვ. 18

[22] კელენჯერიძე ი, „არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზები და პირობები; მოზარდის პიროვნება, როგორც სუბკულტურის ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები“, ალმანახი 2004 №19, სისხლის სამართალი (III)

[23] ნაჭყებია გ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 14

[24] გოძიაშვილი ი, კრიმინოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 189-190

სულიერი სფეროს სიღარიბე და დროის უქმად გატარება; ამ პერიოდში მათში იმატებს აგრესიულობა, სწრაფვა ინდივიდუალიზაციისკენ; ორიენტაციას იღებენ იმავე სოციალური სტატუსის პროფესიათა შერჩევაზე, რომელიც არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოცვის წევრებს აქვთ და სხვ.[25] აღნიშნული მიზეზები, გარდატეხის ასაკში პირის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, ხელს უწყობენ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას.

განვიხილოთ არასრულწლოვანში დანაშაულის ჩადენის თითოეული გამომწვევი პირობა ცალ-ცალკე.

- ***ოჯახის როლი მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში:***

საზოგადოებაში თითოეული ადამიანის ქცევას მისი აღზრდა განაპირობებს. ცნობილი ფაქტია, რომ ბუნებაში ორ აბსოლუტურად იდენტურ პიროვნებას ვერ შევხვდებით, რაც ფიზიკური მახასიათებლების გარდა, პიროვნული აღზრდითა და განვითარებით არის განპირობებული. ამ ყველაფერში კი უდიდეს როლს ოჯახი თამაშობს. „ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ“.[26]

ადამიანი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ოჯახში ატარებს. სწორედ აქ ხდება მისი პიროვნებისა და ინდივიდუალურობის ფორმირება. ბავშვი სახლის გარეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ძირითადად იმ ქცევებსა და უნარებს ავლენს, რომლებიც ოჯახში შეიძინა. არც ერთმა სხვა სოციალურმა ინსტიტუტმა არ შეიძლება იმხელა გავლენა მოახდინოს ადამიანზე, როგორც ოჯახმა. მოზარდი აქ იღებს პირველ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლობს თუ როგორ უნდა მოიქცეს სხვა სიტუაციაში. ოჯახურ აღზრდაზეა დამოკიდებული, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, რა თვისებები, რა ინტერესები ექნება მას, ცხოვრების როგორ გზას აირჩევს იგი. მშობელზეა დამოკიდებული ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარება. მნიშვნელოვანია, როგორ გარემოში გაიზრდება, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს მშობელი მის მიმართ, ანუ აღზრდის როგორ სტილს გამოიყენებს იგი.[27] არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აღზრდის ავტორიტარული მეთოდი, ასევე არასისტემატური აღზრდა და ბავშის უკონტროლოდ დატოვება, უარყოფით გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებაზე.

არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობას მისი მშობლებთან ურთიერთობა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჰირშის თეორია (1969), რომლის მიხედვითაც, მშობლებსა და შვილებს შორის ახლო ურთიერთობა არასრულწლოვანსა და მის

[25] იქვე.
[26] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1969
[27] მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017, გვ. 48

მშობელს შორის თბილ, მოსიყვარულე ურთიერთობას აყალიბებს. თუ არასრულწლოვანი პატივს სცემს საკუთარ მშობლებს, მათ მოსაზრებებს, ნაკლებად არის სავარაუდო, რომ ასეთმა არასრულწლოვანმა დანაშაული ჩაიდინოს. ხოლო, თუ მათ შორის კავშირი სუსტია, ბავშვის დელიქვენტად გახდომის ალბათობა იზრდება.

ყურადრება უნდა გამახვილდეს ე.წ. "Broken Home"-ის ფენომენზეც. "Broken Home" – ეს არის ოჯახი, რომელიც სტრუქტურულად არასრულია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლების განქორწინებით, ან ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებით, რაც ხელს უშლის ოჯახის ნორმალურ ფუნქციონირებას. კვლევების მიხედვით, მართალია, "broken home"-ს გავლენა აქვს არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე, თუმცა ეს გავლენა მინიმალურია. არასრულწლოვნისთვის მნიშვნელოვანია მშობლების ყურადღება და მათთან ემოციური კავშირი, ამიტომ, ოჯახის დაშლის შემდეგ, თუ მშობლები შვილებთან კომუნკაციას არ წყვეტენ, ერთად აგვარებენ არსებულ პრობლემებს და ბავშვებთან ერთად ატარებენ თავისუფალ დროს, იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვი დელიქვენტად ჩამოყალიბდეს, ძალიან დაბალია.

- ***საგანმანათლებლო გარემო და თანატოლებთან ურთიერთობა:***

„ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება".[28] ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად დგება საჭიროება მისი ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური წრის გაფართოვებისთვის, რისთვისაც, შესაბამისი ასაკის მიღწევისას, ბავშვი სკოლაში მიჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც არასრულწლოვნები მხოლოდ პროგრამული სწავლებითა და წიგნებში მოცემული ინფორმაციით უნდა იფარგლებოდნენ. სკოლამ ადამიანს უნდა მისცეს აღზრდა და განათლება დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ბავშვი აქ ყალიბდება პიროვნებად, სადაც უნდა შეიძინოს ის მორალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც წარმართავს თავის მომავალს. სკოლაშივე, ასაკიდან გამომდინარე, ბავშვი უფრო გააზრებულად დგამს სოციალიზაციის დამოუკიდებელ ნაბიჯებს სხვა თანატოლებთან თუ უფროსებთან, იძენს მეგობრებს, იწყებს საკუთარი თავის გამოვლენას, ეცნობა მორალურ ღირებულებებს და სწავლობს სხვებთან ურთიერთობაში მათ გამოყენებას. ოჯახის შემდეგ, სწორედ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუძღვის უდიდესი წვლილი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

კრიმინოლოგიური კვლევებისთვის მნიშნველოვანია იმის დადგენა, თუ რა გავლენა აქვს სკოლას ბავშვის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში.

სკოლა, ეს არის ადგილი, სადაც მოსწავლე, თავისი დღის 20-25%-ს ატარებს. ამ პერიოდში ბავშვებზე ზედამხედველობა მასწავლებლებს ევალებათ. აუცილებელია,

[28] ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 26

რომ საგანმანათლებლო გარემო ადამიანური და მატერიალური რესურსებით სათანადოდ იყოს აღჭურვილი, რათა მოხდეს მოსწავლეების სასწავლო პროცესით დაინტერესება და ამასთანავე, მათი ქცევის კონტროლი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია, კონტროლის ქვეშ არასრულწლოვნის ფიზიკური დასჯა იგულისხმებოდეს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა.[29] აუცილებელია, რომ სასწავლო დაწესებულების პერსონალმა სასწავლებლის პრესტიჟზე წინ მოსწავლეების ინტერესები დააყენოს. ნებისმიერ სკოლაში მოიძებნება ერთი ბავშვი მაინც, რომელიც მიდრეკილი არის სასკოლო დისციპლინის დარღვევის ან ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისკენ. ასეთი ბავშვის სკოლიდან გაგდებისა და არსებული „პრობლემის მარტივად გადაწყვეტის“ ნაცვლად, ორიენტირება უნდა მოხდეს სკოლის კედლების შიგნით მის გამოსწორებაზე. სკოლიდან მოსწავლეთა განთესვა, მათი აღზრდისა და ქმედითი დახმარების ნაცვლად, ახალგაზრდობის ნაწილის ქუჩის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას იწვევს; სკოლა და მასწავლებელი ისევე უნდა იდგას მოზარდის ზნეობრივი აღზრდის სადარაჯოზე, როგორც ოჯახი და მშობლები.[30] უდავოა, რომ სკოლაში მოზარდის ქცევა, მისი სწავლისადმი დამოკიდებულება, მასწავლებლებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მომავალს.

საქართველოში, ბოლო 5 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ, რომლებიც დანაშაულის ჩადენისას არ სწავლობდნენ/არ მუშაობდნენ, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 75-80% შეადგინა.[31]

აქვე უნდა განიხილოს მოზარდის თანატოლებთან ურთიერთობაც. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენაზე მნიშვნელოვან გავლენას სამეგობრო წრე ახდენს. ე. სათერლენდის „დიფერენციალური კავშირის თეორიის“ მიხედვით, დანაშაულის ჩადენის მიზეზები უნდა ვეძიოთ საზოგადოების არა სოციალურ-კულტურული ორგანიზაციის დონეზე, არამედ, იმ უახლოეს სოციალურ გარემოში, სადაც დამნაშავე ყალიბდება.[32] არასრულწლოვანი, რომელიც დაკავშირებულია დელიქვენტ თანატოლებთან, ალბათობის მაღალი ხარისხით, დაარღვევს კანონს, რადგან მოზარდი ისეთ შეხედულებებს სწავლობს სამეგობრო წრისგან, რომლებიც ამ უკანასკნელთათვის მისაღებია. მას, ვინც ხშირად ჩადის

[29] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 10

[30] კელენჯერიძე ი, „არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზები და პირობები; მოზარდის პიროვნება, როგორც სუბკულტურის ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები“, ალმანახი 2004 №19, სისხლის სამართალი (III).

[31] იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

[32] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3538

დანაშაულს, ისეთი მეგობრები ჰყავს, რომლისთვისაც კანონის დარღვევა ნორმალური საქციელია.[33]

არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოზარდები დანაშაულის ჯგუფურად ჩადენისკენ მიდრეკილნი არიან. აღნიშნული გარემოების ერთ-ერთ მიზეზად კრიმინოლოგიაში სახელდება მშობლებსა და შვილებს შორის სუსტი კავშირი, რაც მოზარდს საკუთარი თავის თუნდაც იმ სამეგობრო წრეში პოვნისა და დამკვიდრებისკენ უბიძგებს, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით ხასიათდება და თუ ჯგუფში სტატუსის მოპოვება-შენარჩულებისთვის დანაშაულის ჩადენაა საჭირო, ის ასეც მოიქცევა. ჯგუფი მოზარდისთვის თვითიდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს და ხშირად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მას უწევს ჯგუფში გაბატონებული ნორმებისადმი დაქვემდებარება. შესაბამისად, აშკარაა, რომ სამეგობრო წრესა და თანატოლებთან ურთიერთობას არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს.

- *თავისუფალი დროის გატარება და ტელევიზია:*

დანაშაულის, მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთ დეტერმინანტს ცხოვრებისეული გეგმის არარსებობა წარმოადგენს. ისევე როგორც ზრდასრული ადამიანის, მოზარდის დღის რეჟიმის აუცილებელ და სავალდებულო ნაწილს თავისუფალი დრო შეადგენს. მისი სწორად დაგეგმვა და შესაბამისად გატარება კი დანაშაულის პრევენციას უწყობს ხელს.

თავისუფალი დრო, ეს არის დღის ის მონაკვეთი, როცა ადამიანს არც ბიოლოგიური აუცილებლობა (ძილი, ავადმყოფობა) და არც მესამე პირისაგან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება უწევს (სკოლის მასწავლებელი, ოჯახის წევრი).[34] თითოეულ ადამიანს უფლება აქვს ინდივიდუალურად დაგეგმოს, თუ როგორ გაატაროს თავისუფალი დრო. ამასთან, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მოზარდებს არ შესწევთ უნარი დრო დამოუკიდებლად გაანაწილონ, რაშიც მათ აუცილებლად მშობლების დახმარება ესაჭიროებათ.

არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა 75-80% მოდის მათ თავისუფალ დროზე, როცა ისინი არც სწავლობდნენ და არც მუშაობდნენ. მოცემული მაჩვენებლის საფუძველზე დანამდვილებით შეიძება იმის თქმა, რომ დანაშაულს ძირითადად ის მოზარდები ჩადიან, რომლებიც თავისუფალ დროს ყოველგვარი კონტროლისა და გეგმის გარეშე ატარებენ. ეს გარემოება კი მათ ხელს უწყობს დრო ქუჩაში ხეტიალითა და „ქუჩის ავტორიტეტებთან“ დაახლოებით მოკლან, რასაც ხშირად ისინი დანაშაულის ჩადენამდეც კი მიჰყავს.

[33] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 28
[34] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 29

თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების საკითხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება; ზრდასრული ადამიანი ვერ შეძლებს მიზანმიმართულად გამოიყენოს თავისუფალი დრო, თუ მას ეს ჩვევა ბავშვობიდანვე არ გამოუმუშავდა.[35]

მოზარდებისთვის თავისუფალი დროის გატარების არაერთი გზა არსებობს, იქნება ეს სპორტი, ხელოვნება, მეგობრებთან ერთად სეირნობა თუ სხვ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს, ისინი ნაკლებ უპირატესობას ანიჭებენ თუნდაც სპორტით დაკავებას და მეტად არიან მიჯაჭვულნი კომპიუტერსა და ტელევიზიაზე, არც აზარტულ თამაშებსა თუ ალკოჰოლის მოხმარებაზე ამბობენ უარს, რაც ზეგავლენას ახდენს მათ დელიქვენტად ჩამოყალიბებაზე.

საინტერესოა კრიმინოლოგიური კვლევები, რომლებიც ხაზს უსვამენ მოზარდებზე ტელევიზიისა და ვიდეო თამაშების უარყოფით ზეგავლენას და აღიარებენ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მიზეზად. ძალადობის ამსახველი კადრები ცუდად მოქმედებენ მათ ფსიქიკაზე, ასეთი კადრები კი დღევანდელ კინოინდუსტრიაში, რომ არაფერი ვთქვათ მასმედიასა და კომპიუტერულ თამაშებზე, ძალიან ხშირია.

- ***ალკოჰოლური სასმელისა და ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენა მოზარდზე:***

თვისუფალი დროის არასტრუქტურულად გატარებას არასრულწლოვანი ხშირად ქუჩამდე მიჰყავს, სადაც ის ალკოჰოლურ სასმელსა და ნარკოტიკულ საშუალებას ეცნობა. ბავშვის უმეთვალყურეობა და კონტროლის გარეშე ყოფნას კი მივყავართ იქამდე, რომ მოზარდი ნელ-ნელა იწყებს ამ ახალი ნივთიერებების მოხმარებას და მხოლოდ დროის ამბავიღაა, თუ როდის მიიღებს ეს მოხმარება სისტემატურ ხასიათს.

ალკოჰოლური სასმელისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება აისახება მოზარდის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ფუნქციებზეც. მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კუნთები დუნდება, ადამიანი ბრუვდება და ამით ერთგვარ სიამოვნებას იღებს. დადასტურებულია, რომ ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკული საშუალებები მოზარდს ათამამებს, მხნეობას ჰმატებს, ხდის იმპულსურსა და აგრესიულს, რა დროსაც იგი დანაშაულის ჩადენაზეც კი არ იხევს უკან.

[35] მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017, გვ. 66-67

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლური საშუალებები პიროვნებაზე პირდაპირ ზემოქმედებს, რაც მის მიერ დანაშაულის ჩადენას აადვილებს, არაპირდაპირ ზემოქმედებად ითვლება მათი სისტემატური მიღების შედეგად წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და ნევროლოგიური შედეგები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას, როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ.[36]

ბოლო წლებში იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ, რომლებმაც დანაშაული ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული სიმთვრალის ქვეშ ჩაიდინეს, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 2%-2.5% შეადგინა.

&5 - სახელმწიფოს ვალდებულებები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ

საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირაა საუბარი ქვეყნის იმ ტიპზე, რომელშიც ქართველ ხალხს სურს ცხოვრება. კონსტიტუციის პრეამბულა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას ამკვიდრებს, თუმცა არ შეიცავს მის დეფინიციას. მიუხედავად ამისა, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ერთ-ერთ ძრითად კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს.

კონსტიტუციის პრეამბულა იყენებს ტერმინს - „სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“. ეს ორი კონსტიტუციური პრინციპი ერთიან კონტექსტშია მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია სოციალურ სახელმწიფოს აშკარად არ განიხილავს სამართლებრივი სახელმწიფოსა და მისი მთავარი მიზნის - თავისუფლების - ალტერნატივად, არამედ ისახავს ორ ამბიციურ მიზანს - სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს აშენებას.[37]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია სოციალურ სახელმწიფოს საკითხზე სიტყვაუხვობით არ გამოირჩევა, სოციალური სახელმწიფოს ქართულ გაგებაზე, მაინც ქმნის წარმოდგენას, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და ე.წ. სოციალური ძირითადი უფლებები და, მეორე მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.[38]

ზოგადად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ფორმულირება კანონმდებელს ეკისრება. მან უნდა განსაზღვროს სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება - იზრუნოს იმ ცალკეული ადამიანისთვის (ან ადამიანთა ჯგუფებისათვის), რომელთაც თავიანთი პირადი ცხოვრებისეული მდგომარეობიდან ან საზოგადოებრივი დანაკლისიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ პიროვნული თუ

[36] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 34
[37] ლოლაძე ბ. „სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?“, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (რედ. კორკელია კ.), 2012, გვ. 111
[38] იქვე. გვ. 111-112

სოციალური განვითარება.[39] თანამედროვე ეპოქაში, გონივრულია, სოციალური ეწოდოს მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელიც იმავდროულად სამართლებრივი სახელმწიფოცაა.[40]

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში, სოციალურ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებენ სოციალურ უსაფრთხოებას, ზოგად ეკონომიკურ წონასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.[41] და მაინც, რა არის სოციალური სახელმწიფოს მიზანი?

სოციალური სახელმწიფოს მიზანია ქვეყანაში სოციალური სისტემის დამკვიდრება. სოციალურია ისეთი სახელმწიფო, სადაც ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოსახლეობის სოციალური დონე ამაღლდეს.[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნა.[43] სწორედ ამ მიზნების მიღწევა სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და საზრუნავია.

კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებული დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრიორიტეტია ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვა, საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ნორმალური, სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. მართალია, კონსტიტუციაში პირდაპირ არაა აღნიშნულ საკითხზე საუბარი, მაგრამ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებბულია დაიცვას, დაეხმაროს და შესაბამისი პირობები შეუქმნას იმ ადამიანებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერ მონაწილეობენ.[44] სწორედ, ამ ადანიამთა რიგებს მიეკუთვნებიან მსჯავრდებულები. ის ფაქტი, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანს შესაძლოა თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდეს, არ ნიშნავს მის საზოგადოებიდან მოკვეთას და სახელმწიფოსთვის ზრუნვის ვალდებულების მოხსნას, არამედ პირქით, პირისთვის თავისუფლების აღკვეთა აორმაგებს მისდამი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. იზოლაციაში, სადაც დამოუკიდებლად არც შრომა და არც განათლების მიღებაა შესაძლებელი, სახელმწიფო ვალდებულია მსჯავრდებულებს სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში შეუქმნას

[39] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თვი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. GIZ, 2013, მუხლი 31, გვ. 389
[40] იქვე. გვ.390
[41] ლოლაძე ბ. „სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?“, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (რედ. კორკელია კ.), 2012, გვ. 113
[42] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თვი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. GIZ, 2013, მუხლი 31, გვ. 390
[43] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის № 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ.
[44] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თვი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. GIZ, 2013, მუხლი 39, გვ. 483

არსებობისთვის ნორმალური პირობები, ხელი შეუწყოს თვისუფლებააღკვეთილ პირთა განვითარებას, განსაკუთრებით კი - არასრულწლოვნებისა, მათი რესოციალიზაციის მიზნით, რათა, სასჯელის მოხდის შემდეგ, ამ პირებმა თავისუფლად შეძლონ საზოგადოებაში დაბრუნება.

&5.1 - თავისუფალი განვითარების უფლება - კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლება

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.[45]

განვითარების უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა, რომლის ძალითაც თითოეულ ადამიანს და მთლიანად ხალხს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება, სადაც შესაძლებელი იქნება ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების სრულად რეალიზაცია.[46] ადამიანის პიროვნება განვითარების ცენტრალური საგანია და სწორედ იგი უნდა იყოს განვითარების უფლების აქტიური მონაწილე და მოსარგებლე.[47]

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ცალკე უფლებად აღიარება უკავშირდება ადამიანის, როგორც უმთავრესი სამართლებრივი ღირებულების, მისი ღირსების აღიარებას.[48] საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება გულისხმობს პიროვნების თავისუფლებას, რაშიც მოიაზრება როგორც პირის უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს მისი ფიზიკური თუ სოციალური იდენტობა, ასევე, უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ დაამყაროს ურთიერთობა გარე სამყაროსთან და პირთა გარკვეულ წრესთან, რაც პიროვნების თვისუფალი განვითარების უფლებას ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელ ნაწილად ხდის.

კონსტიტუციის მე-12 მუხლი შინაარსობრივად მოიცავს ადამიანის ყველა იმ უფლებასა და თავისუფლებას, რომელთა განხორციელებაც ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებაში წვლილის შეტანა შეუძლია, მაგრამ ამ უფლებებთან მიმართებაში, კონსტიტუციის მე-12 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა სუბსიდიურია, ანუ დამატებითი.[49] ამასთან, მე-12 მუხლის შინაარსი გაცილებით ფართოა და მოიცავს სხვა უფლებებსაც, რომლებსაც, მართალია კონსტიტუციაში სპეციალური მუხლები არ ეძღვნება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია პიროვნების თვისუფალი განვითარებისთვის; ეს უფლებები, კერძოდ, უკავშირდება ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ, თავისუფალ მოცემულობას, მის შინაგან, პიროვნულ,

[45] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 12
[46] Declaration on the Right to Development, Adopted by General Assembly resolution 41/128 of 4 December 1986, Article 1
[47] იქვე, Article 2
[48] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თვი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. GIZ, 2013, მუხლი 16 გვ. 88
[49] იქვე, გვ. 90

ავტონომიურ, ინდივიდუალურ ასპექტებს და იცავს მათ სახელმწიფოსა და გარეშე პირების მხრიდან ჩარევისაგან.[50]

კონსტიტუციის მე-12 მუხლით უზრუნველყოფილი პიროვნების თვისუფალი განვითრების უფლება, დაცვის სფეროს მიხედვით, ორ ძირითად უფლებას აერთიანებს. ესენია: **ზოგადი პიროვნული უფლება,** რომელიც ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების სფეროს მოიცავს და **საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება,** რომელიც პიროვნების არსებობისა და საქმიანობის ყველა დანარჩენ სფეროზე ვრცელდება.[51]

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აქვს ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის, არასრულწლოვნებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა თუ მსჯავრდებულებს. ერთი მხრივ, სახელმწიფომ თითოეულ მათგანს უნდა შეუქმნას შესაბამისი პირობები საკუთრი თავის განვითარებისა და გამოვლენისათვის. მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ამ უფლების ხელყოფისაგან და დაცულ სფეროში ჩარევა განახორციელოს მხოლოდ კანონიერ საფუძველზე, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

[50] იქვე, გვ. 90-91
[51] კუბლაშვილი კ, ძირითდი უფლებები, 2008, გვ. 92-93

თავი II. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა - ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იუვენალურ სისტემაში

&1 - ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით

ყოველი ადამიანისთვის, მიუხედავად ასაკისა თუ სქესისა, მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალურობა. სწორედ ეს განასხვავებს თოთოეულ ჩვენგანს ერთმანეთისგან. ადამიანის სულიერი დამარცხებისთვის საკმარისია მისი ინდივიდუალურობის დაკარგვა.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ბავშვის უფლბას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალურობა.[52] ხოლო, თუ ბავში უკანონოდ კარგავს თავის ინდივიდუალურობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უწუნველყოფენ მას საჭირო დახმარებითა და დაცვით მისი ინდივიდუალურობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისთვის.[53]

დაუშვებელია, ადამიანს ინდივიდუალურობასა და ასეთ მიდგომაზე უარი ეთქვას რაიმე გარემოების გამო. მაგალითად, თუ პირი ბრალდებულია/მსჯავრდებულია, ეს არ გამორიცხავს მის უფლებას იყოს ინდივიდუალურად მოპყრობილი. აღნიშნულს განამტკიცებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც, კერძოდ, ამკ-ს მე-14 მუხლით, პრინციპის დონეზე, მოცემულია არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

რას ნიშნავს ინდივიდუალური მიდგომა?

ამკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას და მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ამკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის ინდივიდუალურ მახასიათებლებად მიიჩნევა მისი ასაკი, განვითრების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაღვრის შესაძლებლობას იძლევა.

[52] „ბავშის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 8, ნაწილი I.
[53] იქვე, მუხლი 8, ნაწილი II.

&1.2 - არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა - ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იუვენალურ სისტემაში

ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნისათვის დამახასიათებელი თვისებურებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სამართალწარმოების დროს აუცილებელია სრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებულისგან განსხვავებული მიდგომა, რასაც, ამკ-ს მე-14 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი უზრუნველყოფს.

ინდივიდუალური მიდგომა იუვენალურ სისტემაში ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია. ინდივიდუალური მიდგომის მოთხოვნა განმტკიცებულია ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით.[54]

ინდივიდუალური მიდგომა პირველ რიგში გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს არასრულწლოვნის ინდივიდუალური პრევენცია უნდა იქნეს გათვალისწინებული.[55] გადაწყვეტილების მიღების დროს, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებული არასრულსწლოვნის კონკრეტული მახასიათებლები და მათ საფუძველზე გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ ამ არასრულწლოვანს უნდა ეხებოდეს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დაუშვებელია ზოგადი პრევენციის გამოყენება, შესაბამისად, არ შეიძლება ერთი არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების სხვა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულზე გავრცელება.[56]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი, პროცესის მწარმოებელი პირისგან, იქნება ეს გამომძიებელი, პროკურორი თუ მოსამართლე, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მოითხოვს არასულწლოვნის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს ამკ-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური მახასიათებლები, კერძოდ კი - მისი ასაკი, განვითრების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

გაეროს ბავშის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, არასრუწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და

[54] გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმი, მუხლი 8.1 (ა); გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, პარაგრაფები: 10, 11, 14, 16; ლანზაროტეს კონვენცია, მუხლი 31.1. იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 61
[55] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 87
[56] იქვე.

საგანმანათლებლო საჭიროებები *per se* ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვნებისაგან განსხვავებულ მიდგომას.[57]

წინა თავში საუბარი იყო არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზებზე. სწორედ, ინდივიდუალური მიდგომა ეხმარებათ პროცესის მწარმოებლებს იმის დასადგენად, თუ რა გახდა ამა თუ იმ ბრალდებული არასრულწლოვნის მხრიდან დანაშაულის ჩადენის მიზეზი და რა ღონისძიებებს უნდა მიმართონ იმისათვის, რომ პირველ რიგში, მოხდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ამასთან, თავიდან იქნეს არიდებული მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენა.

ინდივიდუალური მიდგომა, ეს არის რევოლუციური პრინციპი, რომელმაც, ქართულ მართლმსაჯულებაში, ერთ-ერთი გამოხატულება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ჰპოვა. მისი მეშვეობით, უფრო მარტივია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მახასიათებლების განსაზღვრა, ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, მისი პიროვნების, ოჯახის, ცხოვრების სტილის შესწავლა და ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა სავალდებულოა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. მაგალითად, გამოძიების სტადიაზე, ბრალდებულის განათლებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, შესაძლოა საჭირო გახდეს საპროცესო მოქმედებებში ფსიქოლოგის მონაწილეობა, რომელიც კანონთან კონფლიქტშ მყოფ არასრულწლოვანს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას გაუწევს და მის საჭიროებებს შეაფასებს.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა ასევე გამოიხატება ამა თუ იმ საქმეზე ბრალდებულის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მთავარი პროკურორის 2018 წლის 6 თებერვლის ანგარიშის მიხედვით, 2014-დან 2017 წლების მანძილზე, განრიდებულ არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი ბრალდებული არასრულწლოვნების 31%-დან 46%-ამდე იცვლებოდა.[58] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის მიერ ნაკლებად მძიმე ან მძმე დანაშაულის ჩადენისას განიხილება განრიდების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან არიდებას.[59] ამასთან ერთად, ხდება არასრულწლოვნის პიროვნების, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესწავლა, განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ამ ქმედებისადმი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დამოკიდებულება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ქმედებების განხორციელების შემდეგ,

[57] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 60
[58] http://pc.gov.ge/
[59] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 38, ნაწილი 1

არასრულწლოვანი ბრალდებულის განრიდების ღონისძიებაში ჩართვა, სწორედ მის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის შედეგია.

ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი სახელმძღვანელოა მოსამართლის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. სწორედ, რომ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მისი პიროვნების ინდივიდუალური შეფასება უდევს საფუძვლად, არასრულწლოვნისადმი ამა თუ იმ სასჯელის განსაზღვრას. შემდეგ ეტაპზე კი, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა გამოიხატება მის მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ დაგეგმვაში, რაც ასევე განმტკიცებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით.[60]

არასრულწლოვნის მსჯავრდება არ გამორიცხავს მისდამი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას. ე.წ. „ჰავანის წესები“ პრიორიტეტს ანიჭებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და განმარტავს, რომ „შემოსვლიდან უმოკლეს დროში უნდა ჩატარდეს გასაუბრება არასრულწლოვანთან და უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში“.[61] აღნიშნული გასაუბრების მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვნის საჭიროებებზე დაყრდნობით, მოპყრობის, მოვლისა და შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა. წესები ადგენს შეზღუდვებს, რომ არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს მხოლოდ იმ დაწესებულებაში, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი სპეციფიური საჭიროებები, რაც შეესაბამება მის ასაკს, სქესს, ინდივიდუალურობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც მაქსიმალურად დაიცავს არასრულწლოვანს უარყოფითი ზემოქმედებისგან.[62] განთავსების პირობები კი უნდა შეესატყვისებოდეს არასრულწლოვნის აღზრდის საჭიროებას, მის ემოციურ მდგომარეობას, თანატოლებთან ურთიერთობას, სპორტულ და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას.[63]

ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან და გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას.[64]

---

[60] იხ. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 80(გ)

[61] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“), თავი მეორე, წესების მოქმედების სფერო და გამოყენება, პუნქტი 27

[62] ხასია მ., „არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 136

[63] იქვე, გვ. 136-137

[64] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 61

&3 - ინდივიდუალური მოპყრობისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“. ბავშის უფლებათა კომიტეტის განცხადების თანახმად, ბავშის ინტერესების განხილვისას, ბავშის უფლებათა კონვენცია, „სტანდარტები და ნორმები“ ერთად: „მოგვიწოდებენ, დავამკვიდროთ ბავშზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც აღიარებს ბავშის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას გაამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშის საუკეთესო ინტერესით“.[65]

ბავშვის უფლებათა კონვენციის საფუძველზე, საუკეთესო ინტერესების უპირატესად განხილვა გარანტირებულია ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში, ეხება საქმე კერძო, საჯარო თუ სისხის სამართლის სფეროს. კონვენციის მე-3 მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ძირითადად ვრცელდება საჯარო პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, თუმცა, დამატებით, იმ კერძო სექტორზეც, რომელსაც მინიჭებული აქვს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე დაწესებულების სტატუსი.[66] კონვენციით, ბავშის სუკეთესო ინტერესების უზრუნვეყოფისთვის უპირატესი ყურადღების დათმობა უნდა გულისხმობდეს იმას, რომ თუ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე უფლებას შორის კონფლიქტი წარმოიშვება, უპირატესობა სწორედ რომ ბავშის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს.

მართალია, ბავშვის უფლებათა კონვენცია საუკეთესო ინტერესებს ყველა სხვა უფლებასთან მიმართებით უპირატესად ასახელებს, თუმცა, არ იძლევა მის განმარტებას. აღნიშნული, კონვენციაზე მიერთებულ თითოეულ სახელმწიფოს, აძლევს სრულ თავისუფლებას მისეულად განმარტოს „საუკეთესო ინტერესების“ შინაარსი. მიიჩნევა, რომ ამ პრინციპის არსის დაუზუსტებლობამ და მისმა

---

[65] ბავშის უფლებათა კომიტეტი, ბავშის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995), გაეროს დოკუმენტი CRC/C/43, გვ. 64. იხ. ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 73

[66] შეყილაძე ხ., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 277

ბუნდოვანებამ, შესაძლოა სახელმწიფოებს თავისუფლება მისცეს, რომ პრინციპი გამოყენებულ იქნეს ბავშვის უფლებების საზიანო ქმედების გასამართლებლად.[67]

ბავშის უფლებების შესახებ კონვენციით გათვალისწინებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება და მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი და საპროცესო ნორმა.[68] აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ კანონმდებლობით, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს გარანტირებული მისი საუკეთესო ინტერესების დაცვა, რომლის საფუძველზეც უნდა იმოქმედოს მის მიმართ საქმისწარმოებაში ჩაბმულმა ყველა პირმა და თითოეულ ეტაპზე, ბავშის მიმართ რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან უნდა იყოს შესაბამისობაში.

ქართულ მართლმსაჯულებაში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ცნება, პირველად, 2015 წლის 12 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში იქნა გათვალისწინებული. აღნიშნულმა კოდექსმა, პირველ ადგილზე დააყენა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და პრინციპის დონეზე განამტკიცა. დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას, პროცესის მწარმოებელმა პირებმა ორი ძირითადი პრინციპით - ინდივიდუალური მიდგომითა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობით უნდა იხელმძღვანელონ. ეს ორი პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთიმეორეს განაპირობებენ.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იძლევა „საუკეტესო ინტერესების“ განმარტებას. ამ კოდექსის მიხედვით, საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, ასევე მისი აზრის გათვალისწინებით.[69] მოცემული განმარტება არ იძლევა სრულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება „საუკეთესო ინტერესებში“. ბავშის უფლებათა კომიტეტი №10 ზოგად კომენტარში განმარტავს: „მაგალითისთვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და

[67] Hammarberg T., The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults, Strasbourg, 2008, page 4

[68] შეყილაძე ხ., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 273

[69] იხ. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 4

აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად“.[70]

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას, ყველა გადაწყვეტილების მიღებაში, უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.[71] არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.[72]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები. სავარაუდოდ, ამ ჩანაწერით კანონმდებელს იმის თქმა სურდა, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს უპირატესობა ენიჭება ყველა იმ პრინციპთან შედარებით, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მეორე თავით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, სხვა პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.[73]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში საუკეთესო ინტერესების დაცვა, რასაც მოსდევს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა და ა.შ. აღნიშნული მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უპირველესი მიზანი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა წითელ ზოლად გასდევს არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების კოდექსს.[74]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნისას

---

[70] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10 (2007), პუნქტი 10

[71] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 60

[72] იქვე, გვ. 60

[73] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2016, გვ. 652

[74] ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 72

მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებსა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს სხვადასხვა დატვირთვა გააჩნია: 1) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი პრინციპია; 2) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი მიზანი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაა; 3) არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.[75]

პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მიმიმუმამდე დაყვანასა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.[76] „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.[77] ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითრებასა და კეთილდღეობაზე და სხვა შესაბამისი საკითხები.[78]

სისხლის სამართაწარმოებაში მონაწილე პირები, მთელი პროცესის განმავლობაში, ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი, სამართალშემფარდებელს, კანონში ბუნდოვანების ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ავალდებულებს, რომ ნორმა არასრულწლოვნის სასარგებლოდ განმარტოს, სწორედ მისი საუკეთესო ინტერესებიდამ გამომდინარე.

---

[75] იქვე, გვ. 72

[76] „პეკინის წესები“, წესი 5

[77] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 60

[78] ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 73

თავი III. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ადგილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

&1 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მინისტრთა ერთობლივი ბრძანების მიხედვით

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებულის მიმართ სამართალწარმოებისას აუცილებელია მისი უფლებების სათანადოდ დაცვა, რაც ქვეყანაში შესაბამისი მექანიზმების შექმნით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. დღეისათვის, ასეთ მექანიზმს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და მასში განმტკიცებული მიდგომები წარმოადგენს. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სასჯელის უპირველეს მიზნად რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დასახელება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკა, პირველ რიგში, ორიენტირებულია არასრულწლოვნის გამოსწორებაზე და არა - დასჯაზე. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისი ასაკი, განაჩენის სიმძიმე კი განსაზღვრულ იქნეს იმგვარად, რომ შემდგომში ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და არ იყოს მიმართული არასრულწლოვნის დასჯისკენ.[79] არასრულწლოვნისადმი ამ მიდგომის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საუკეთესო მექანიზმს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ინსტიტუტი წარმოადგენს, რომელიც, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არის გათვალისწინებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელო პრინციპები, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება გამოვლინებას სწორედ ინდივიდუალური შეფასების მომზადებასა და მის გამოყენებაში ჰპოვებენ. როგორც უკვე აღინიშნა ნაშრომის შესავალში, ამ ინსტიტუტის ამოქმედების რეკომენდაცია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოებს 2010 წლის 20 იანვარს მიღებული რეკომენდაციით მისცა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლით მოცემულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსი და მისი გამოყენების წესი. ამასთან, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად გაწერილი და

[79] კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 37(ბ); გაეროს უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007, პუნქტი 28.

დარეგულირებულია საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით.

კანონთნ კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, ე.ი. მისი ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღება. სწორედ ეს მახასიათებლები გაითვალისწინება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე.[80] ინდივიდუალური შეფასების წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ პროცედურის წარმოებისას, შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებასა და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[81] ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები.[82]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ის მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა გარემოებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას.[83]

&1.2 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების სტადიები

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ხუთ სტადიაზე:

1. განრიდების ღონისძიების დაგეგმვისას;
2. სასჯელის დანიშვნისას;
3. საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
4. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და

[80] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 27(1)
[81] იქვე, მუხლი 27(2)
[82] მახარობლიძე თ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 79
[83] იქვე, გვ. 86

5. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივ ბრძანებაში დეტალურადაა გაწერილი თუ ვინ, რა გარემოებებზე დაყრდნობითა და რა მიზნის მისაღწევად ადგენს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისთანავე მასში განმტკიცებულ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის ნაცვლად, მისი ამ სისტემისგან განრიდება. განრიდება, ეს არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.[84]

ამკ-ის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს არასრულწლოვნის მხრიდან ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი, პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს განრიდების შესაძლებლობა და შეფასდეს, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობა. მოსამართლე, განრიდების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში იღებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშს.

მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების დანართი №1-ის მიხედვით, განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებისა და სხვა გარემოებების შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს არასრუწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული განრიდების ღონისძიების განსაზღვრას.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას დაცული უნდა იყოს ობიექტურობის, კონფიდენციალურობისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპები.[85]

ამავე ბრძანების დანართი №2-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის

[84] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 7

[85] საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №1, მუხლი 2

საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში. ამავე მუხლის თანახმად, ანგარიშის მომზადებისას დაცული უნდა იყოს პიროვნების პატივი და ღირსება, კანონის წინაშე თანასწორობა, ობიექტურობა და დამოუკიდებლობა, ასევე, კონფიდენციალურობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე, სასჯელის დანიშვნის დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოხატულებაა.

რაც შეეხება მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების დანართი №3-ს, მისი პირველი მუხლი განსაზღვრავს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვისას არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის პროცესს სასჯელის მოხდის პერიოდში, რომლის მიზანია განმეორებით დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არასრულწლოვნის განვითარებისათვის გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, მომავალში, დანაშაულის ჩადენის შესამცირებლად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა-განხორციელება.

რაც შეეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების შემდეგ სტადიას, ეს არის არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უპირატესობა თავისთავად არასაპატიმრო სასჯელს უნდა მიენიჭოს, რომლის აღსრულების მეთვალყურეობაც პრობაციის სააგენტოს ეკისრება.

მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების დანართი №4-ის პირველი მუხლის თანახმად, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების წესის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობით მსჯავრდებუთა რისკის შეფასება, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას დაცული უნდა იყოს პიროვნების პატივი და ღირსება, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი და მულტიდისციპლინური გუნდის დამოუკიდებლობა.

საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი ბოლო სტადია, რომელის დროსაც გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, არის არასრულწლოვნისათვის პირობითი მსჯავრის დანიშვნის სტადია. მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების №5 დანართის პირველი მუხლის მიხედვით, პირობით ვადამდე

გათავისუფლების საკითხის განხილვისას, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება მიზნად ისახავს სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვნის ქცევისა და სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის თავმოყრას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ანგარიშის მომზადებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ობიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით.

&1.3 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება

თუ წინა ქვეთავში საუბარი იყო ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების სტადიებზე, ამ ქვეთავში მოცემული იქნება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების მიხედვით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებაზე უფლებამოსილ ორგანოსა და უშუალოდ - მომზადების პროცედურაზე. პირველ ეტაპზე განვიხილოთ განრიდების სტადია.

იმისათვის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ჩაერთოს განრიდების პროგრამაში, სახეზე უნდა იყოს საქართველოს ამკ-ის 38-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, რის შემდეგაც, პროკურორს გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის მიმართ განრიდების ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რასაც თან უნდა ერთვოდეს არასრულწლოვანისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა განრიდებაში მონაწილეობის თაობაზე.

მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება იწყება პროკურორის მიერ განრიდების გამოყენებაზე დადგენილების გამოტანისა და არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. რასაც მოჰყვება პროკურორის მიერ უფლებამოსილი პრობაციის ბიუროს უფროსისადმი წერილობითი მიმართვა სოციალური მუშაკის გამოყოფის თაობაზე. ბიუროს უფროსი, მიმართვის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საქმეს გადასცემს იმ სოციალურ მუშაკს, რომელსაც მოცემული დროისთვის ყველაზე ნაკლები განრიდების აქტიური (მიმდინარე) საქმე აქვს. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ან მისი ოჯახის წევრის ნაცნობი/დაახლოებული პირია, იგი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პრობაციის ბიუროს უფროსს, რომელიც, თავის მხრივ, არასრულწლოვნის საქმეს გადასცემს იმავე ტერიტორიაზე მოქმედ სხვა სოციალურ მუშაკს. აღნიშნული პროცედურის განხორციელების შემდეგ, პრობაციის ბიუროს უფროსი პროკურორს აწვდის ინფორმაციას იმ სოციალური მუშაკის ვინაობისა და მისი საკონტაქტო მონაცემების თაობაზე, რომელსაც დაეკისრა კონკრეტულ საქმეზე მუშაობა.

სოციალური მუშაკი, მისთვის საქმის გადაცემისა და პროკურორთან შეხვედრიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწყობს არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელთან შეხვედრას, რომელზეც განიხილება სამომავლო თანამშრომლობის პირობები, ეტაპები, სოციალური მუშაკის როლი და მოვალეობები განრიდების სისტემაში. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, სოციალური მუშაკი იწყებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. ხოლო, თუ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი უარს იტყვინ სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, ეს უკანასკნელი მათ განუმარტავს, რომ აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ეცნობება საქმის პროკურორს. სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მომზადებულ დასკვნასა და სარეკომენდაციო პირობებს ეცნობა პროკურორი და თუ მიიჩნევს, რომ ყოველივე ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საჭიროებებს, გადაწყვეტილებას იღებს შეფასების დასრულების თაობაზე. აღნიშნულის შემდეგ, სოციალური მუშაკი, დასკვნის სახით განსაზღვრავს და ადგენს ხელშეკრულების შედგენისას მხედველობაში მისაღებ რეკომენდებულ ღონისძიებათა ჩამონათვალს. პროკურორი, სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებითა და მასთან კონსულტაციების შედეგად, ადგენს ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და პირობებს, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს არასრუწლწლოვნის უნარებს.

განსახილველი ბრძანების №2 დანართით მოცემულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისათვის აუცილებელი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცედურა, რომელსაც უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მისი სტრუქტურული ერთეულის - სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკის მეშვეობით. ინდივიდუალური შეფასების მომზადების საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის წერილობითი მიმართვა, ხოლო თუ საქმე საპროცესო შეთანხმებით სრულდება - პროკურორის წერილობითი მიმართვია.

ანგარიშის მომზადების თაობაზე მოსამართლის/პროკურორის მიმართვა დაუყოვნებლივ გადაეცემა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საცხოვრებელ ტერიტორიაზე მოქმედ სოციალურ მუშაკს, რომელიც შესაბამისი სპეციალიზაციის უნდა იყოს. თუ არასრულწლოვანს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ასეთი უცნობია, მიმართვა სოციალურ მუშაკს არასრულწლოვნის საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიის მიხედვით გადაეცემა.

სასჯელის დანიშვნის დროს არასრულწლოვნის შეფასების პრიცესში სოციალური მუშაკი უნდა მოქმედებდეს ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, თუ სოციალური მუშაკი იცნობს არასრულწლოვანს ან მის ოჯახის წევრს, რის გამოც არ შეუძლია ობიექტურობის შენარჩუნება, იგი აღნიშნული

გარემოების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსს, რომელიც საქმეს სხვა სოციალურ მუშაკს გადასცემს.

სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მოსამართლეს/პროკურორს აწვდის ინფორმაციას საქმეზე მომუშავე სოციალური მუშაკის შესახებ ინფორმაციასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.

სოციალური მუშაკი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს მოსამართლის/პროკურორის მიერ შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადაში.

მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების №3 დანართის მესამე მუხლის თანახმად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაწესებულების სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლებრივი რეჟიმის მოსამსახურე და ექიმი. მულტიდისციპლინურ ჯგუფს ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკი, რომელსაც სოციალური განყოფილების უფროსის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს დაწესებულების დირექტორი. სოციალური მუშაკი ინდივიდუალური გეგმის კოორდინატორია. მულტიდისციპლინური ჯგუფი იქმნება მსჯავრდებული არასრულწლოვნის დაწესებულებაში მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. არასრულწლოვნის დაწესებულებაში განთავსებიდან 5 დღის ვადაში, მას ხვდება კოორდინატორი და განუმარტავს ინდივიდუალური გეგმის არსსა და საჭიროებას, რის შემდეგაც, ჯგუფის თითოეული წევრი, ინდივიდუალური შეფასების მიზნით, ხვდება არასრულწლოვან მსჯავრდებულს. შეფასების შემდეგ, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ჯგუფის წევრები ადგენენ რეკომენდაციებს, რასაც შედეგად მოჰყვება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის თაობაზე ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რომელსაც, 3 სამუშაო დღის ვადაში ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. ინდივიდუალურ გეგმაში მითითებული აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებს. აქტივობის შერჩევისას კი პრიორიტეტი იმ აქტივობას უნდა მიენიჭოს, რომელიც მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის ალბათობის შემცირებისა და ინდივიდისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისაკენ. ინდივიდუალურ გეგმას მსჯავრდებულს აცნობს კოორდინატორი რომელსაც ხელს მსჯავრდებული და კოორდინატორი აწერენ. ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესში ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, კოორდინატორი,12 თვის მანძილზე 3 თვეში ერთხელ, ახორციელებს გეგმის გადახედვას.

შემდეგი სტადიაა არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და პირობით მსჯავრდებულთა რისკის შეფასება, რომელზეც პასუხისმგებელია არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. ბრძანების №4 დანართის მიხედვით, არსრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას, პრობაციის ბიუროში,

ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც, როგორც წესი, შედგება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთან მომუშავე პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგისაგან. პრობაციის ბიუროს უფროსი სააღსრულებო საქმის პრობაციის ოფიცრისთვის გადაცემის პარალელურად, განსაზღვრავს ამ საქმეზე მომუშავე სოციალურ მუშაკსაც.

პრობაციის ოფიცერი მსჯავრდებულ არასრულწლოვანს აცნობს მის უფლება-მოვალეობებს და უთანხმებს სოციალურ მუშაკთან შეხვედრის დროსა და თარიღს. აღნიშნული შეხვედრა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მსჯავრდებული არასრულწლოვნის პრობაციის ბიუროში მომდევნო გამოცხადების დღისა. ინდივიდუალური შეფასებისთვის განსაზღვრული საერთო ვადა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, არის 32 სამუშაო დღე, რომელიც აითვლება არასრულწლოვნისათვის მისი უფლება-მოვალეობათა შესახებ ოქმის გაცნობის დღიდან/სოციალურ მუშაკთან მსჯავრდებული არასრულწლოვანის პირველი შეხვედრის დღიდან.

არასრულწლოვანის ინდივიდუალურ შეფასებას სოციალური მუშაკი იწყებს და ადგენს ზიანის რისკის დონეს. საკუთრი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენების მაღალი დონის დადგენის შემთხვევაში შეფასების პროცესში ერთვება ფსიქოლოგიც, რომელიც, არასრულწლოვანთან მაქსმიმუმ 3 შეხვედრას მართავს.

ზიანის მიყენების რისკის დონის განსაზღვრასთან ერთად, განისაზღვრება დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკიც და თუ დადგინდება დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა საქმის წარმოებაში ერთვება ფსიქოლოგი, რომელიც, მსჯავრდებულ არასრულწლოვანს, მისი პრობაციის ბიუროში მომდევნო გამოცხადებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხვდება არაუმეტეს ორჯერ და ავსებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ფორმის შესაბამის ნაწილებს.

შეფასების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი და ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას. გეგმას, დამატებით 5 სამუშაო დღის ვადაში ავსებს პრობაციის ოფიცერი და საბოლოოდ, აცნობს მსჯავრდებულ არასრულწლოვანს, მისი მომდევნო გამოცხადების დღეს. ინდივიდუალური გეგმა თანხმდება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რაც გეგმაზე მათი ხელმოწერით დასტურდება.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის წესი განისაზღვრება მისი შეფასებისას ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით.

რაც შეეხება პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას, ბრძანების №5 დანართის მიხედვით, აღნიშნულს უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულება შესაბამისი

სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, რაც პრობაციის სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება.

დაწესებულება, რომელშიც არასრულწლოვანი დანიშნულ სასჯელს იხდის, ვალდებულია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის მომზადებისას, კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე, წერილობით მიმართოს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სარეაბილიტაციო სამმართველოს. აღნიშნული მიმართვის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ მსჯავრდებულის ოჯახის, სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების თაობაზე სათანადო ინფორმაციის მიღება.

მსჯავრდებული არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მზადდება, რაზეც პასუხისმგებელია დაწესებულების სპეციალური აღრიცხვისა და სამართლებრივი რეჟიმისა და სოციალური განყოფილებები. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება, კომპეტენციის ფარგლებში, მსჯავრდებულის დახასიათებას ამზადებს, რომელსაც, სამართლებრივი რეჟიმისა და სოციალური განყოფილება ავსებს. ანგარიშის მომზადებისას, დამატებით ინფორმაციის წყაროდ გამოიყენება სოციალური სააგენტოს შესაბამისი ბიუროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური გარემოს შესახებ.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დასრულების შემდეგ, სოციალური მუშაკი ეცნობა მის საბოლოო ვერსიას, პირობით ვადამდე გათავისუფლების სხდომაზე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ დასაცავად. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვისა და სააგენტოსთან კოორდინირებული საქმიანობის წესით შემუშავებულ ანგარიშებს.

&1.3.1 - ინდივიდუალური შეფასებისთვის განსაზღვრული დრო და პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების ხუთივე დანართით გაწერილია შესაბამისი დრო და შეხვედრების რაოდენობა, რომელიც სოციალურმა მუშაკმა თუ მულტიდისციპლინურმა გუნდმა უნდა დაუთმოს მსჯავრდებული არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებასა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას. მოცემული ბრძანების საფუძველზე, ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს განრიდების ღონისძიების განსაზღვრის დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადა.

აღნიშნული ბრძანების №1 დანართის მიხედვით, ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ განრიდების ღონისძიების განსაზღვრის მიზნით,

პროკურორის წერილობითი მიმართავის საფუძველზე, არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს სოციალური მუშაკი, რომელიც, არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას, შეფასების საფუძველზე დასკვნასა და განრიდების ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს საქმის წარმოებაში მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აწვდის პროკურორს. არ იქნება სწორი ამ დებულების გაზიარება. 10 დღიანი ვადა ვერ იქნება საკმარისი ყველა იმ საჭირო პროცედურისა თუ ღონისძიების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელია არასრულწლოვნის სათანადოდ შეფასებისათვის. აშკარაა, რომ სოციალურ მუშაკს, მუშაობის პროცესიდან გამომდინარე, ფიზიკურად არ ეყოფა მოცემული ვადა ყველა იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად და შესაბამისად დასამუშავებლად, რომელიც აუცილებლად უნდა აისახოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში. დროის სიმცირემ შესაძლოა სოციალურ მუშაკს ხელი შეუშალოს ყველა დოკუმენტის სათანადოდ მომზადებაში, რაც საბოლოოდ, ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის ინტერესებს. საგულისხმოა, რომ ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, ბრძანების საფუძველზე, ნებადართულია პროკურორის გადაწყვეტილებით 10 დღიანი ვადის გაგრძელება ხელის შემშელი გარემოების აღმოფხვრამდე, თუმცა, უფრო მისაღები იქნებოდა, ბრძანებაში თავიდანვე განსაზღვრულიყო ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო დროის მხოლოდ მინიმუმი. საინტერესოა სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებით მომზადებულ კვლევა, რომელშიც საუბარია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის დროსთან დაკავშირებით და აქაც საუბარია სოციალური მუშაკისათვის განსაზღვრული ვადის მხოლოდ მინიმუმზე. კერძოდ, კვლევაში რეკომენდაციის სახით ნათქვამია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადად მინიმუმ 10 დღე უნდა განისაზღვროს.[86]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო დროის მხოლოდ მინიმუმის დასახელებამ, თავის მხრივ, შესაძლოა შექმნას არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურების საფრთხე, რაც დაუშვებელია. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-11 მუხლში, პრინციპის დონეზეა გაწერილი პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა და მითითებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. პროცესის წარმოებისას, მხარეები, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა მოქმედებდნენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო ვადაც ასევე ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. შესაძლებელია, რომ მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით განისაზღვროს შეფასებისა და ანგარიშის მომზადებისთვის აუცილებელი დროის მხოლოდ მინიმუმი, მოცემულ შემთვევაში, 10 დღიანი ვადა და მითითება გაკეთდეს გონივრულ ვადაზე. აუცილებელ შემთხვევაში, თუ აშკარა გახდება, რომ საფრთხე

[86] ქელბაქიანი ა, ცაგარელი ნ, ტურაზაშვილი გ., „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში: კვლევა“, გვ. 35

ექმნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს სისხლის სამართლის პროცესის შესაძლო გაჭიანურების კუთხით, ანგარიშის მომზადების ვადის მაქსიმალური დრო განსაზღვროს თავად ანგარიშის მომზადების მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა, იქნება ეს პროკურორი თუ მოსამართლე, როგორც ეს ხდება სასჯელის დანიშვნის დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების შემთხვევაში.

ინდივიდუალური შეფასებისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებისათვის გამოყოფილი დროის გარდა, მინისტრთა №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით გაწერილია იმ შეხვედრების რაოდენობა, რომელიც სოციალურმა მუშაკმა უნდა განახორციელოს ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთან მისი შეფასებისა და ინდივიდუალური ანგარიშის/გეგმის შედგენის პროცესში. თითოეულ შემთხვევაში, ბრძანებაში მითითებულია, რომ ასეთი შეხვედრების რაოდენობა უნდა იყოს მიმიმუმ ერთი და არაუმეტეს - სამი, რაც არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად. უმჯობესი იქნება, თუ ბრძანებაში მითითებული იქნება სოციალური მუშაკისათვის არასრულწლოვნის შესაფასებლად მიცემულ დროში მასთან მინიმალური შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების მაქსიმალური რაოდენობა კი თავად სოციალურმა მუშაკმა განსაზღვროს, მოცემული საქმის სირთულიდან და არასრულწლოვნის საჭიროებებიდან გამომდინარე.

&2 - არასრულწლოვანის შეფასებისას მხედველობაში მიღებული და მის მიღმა დარჩენილი გარემოებები

კანონთნ კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შეფასებისა და შეფასების საფუძველზე შესაბამისი ანგარიშის მოსამზადებლად აუცილებელია, რომ სოციალურმა მუშაკმა ინფორმაცია მოიპოვოს არასრულწლოვანზე, მის ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებზე, რისთვისაც საჭიროა მათთან შეხვედრა და გასაუბრება. როგორც უკვე აღინიშნა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ხვადასხვა სტადიაზე გამოიყენება. აქამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დახასიათება ხშირ შემთხვევაში ამოიწურებოდა მისი სამსახურიდან, მეზობლებისგან მიღებული მოკლე დახასიათებით, რაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.[87] შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების გათვალისწინება დადებით ნოვაციად უნდა შეფასდეს, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვნისათვის სასჯელის განსაზღვრის მომენტში.

არასრულწლოვნის ინდივიდუალურად შეფასების შედეგად აუცილებელია, რომ სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ ანგარიშში აისახოს, პირველ რიგში,

[87] ლეკვეიშვილი მ, „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი, გვ. 196

არასრულწლოვნის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, მისი განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ოჯახური ვითარება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების დონე, ყველაფერი ის, რაც შესაძლებლობის მომცემი იქნება, რათა განისაზღვროს მისი ხასიათი და შეფასდეს არასრულწლოვნის ქცევის თავისებურებები.

არასრულწლოვნის შეფასებისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს მის სოციალურ გარემოზე - ოჯახის წევრებსა და მის სამმეგობრო წრეზე. როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს მისი ოჯახი. შეფასებისას აუცილებლად უნდა გაირკვას, სად ცხოვრობს არასრულწლოვანი, რამდენი წევრისგან შედგება მისი ოჯახი, თუ არიან ისინი დასაქმებულნი, ხომ არ არის რომელიმე მშობელი ან ორივე ერთად ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების ხშირი მომხმარებელი, ხომ არ არიან ისინი აგრესიულები, რაც არასრულწლოვანს პირდაპირ თუ ირიბად, ძალადობის მსხვერპლად აქცევს. ბავშვზე ძალადობა შეიძლება აისახოს არა მხოლოდ მის სხეულზე აშკარა დაზიანებების სახით, არამედ მის ფსიქიკაზეც, შესაბამისად, მის ცხოვრებასა და პიროვნულ განვითარებაზე. თითოეულ ამ გარემოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია მოსამართლისთვის არასრულწლოვნისათვის სასჯელის განსაზღვრისას, მითუმეტეს, თუ საქმე ეხება სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებას. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა არასრულწლოვან ბრალდებულს სასჯელის სახედ შინაპატიმრობა შეეფარდა სახლში ლოთი/ნარკომანი/მოძალადე მშობლის ყოლისას. აღნიშნული შეიძლება გახდეს არასრულწლოვნის სახლიდან გაქცევის მიზეზი. ეს გარემოება კი, მისი მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის აშკარა წინაპირობას წარმოადგენს.

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს არასრულწლოვანის სოციალური მდგომარეობაც. კანონთან კონფლიქტში მყოფი უამრავი არასრულწლოვანი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის მსხვერპლია, რის გამოც მათ არ აქვთ განათლების, ჯანმრთელობის, თავშესაფრის, ზრუნვისა და დაცვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა.[88] ამ ფაქტორის გათვალისწინებით, საჭიროების შემთვევაში, მოსამართლემ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ოჯახის გარეთ, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა ადგილას უნდა განათავსოს.

სიახლე არაა, რომ არასრულწლოვანზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ის იმყოფება და განსაზღვრავს მის დადებით თუ უარყოფით პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამიტომ, ინდივიდუალური შეფასებისას, ოჯახის გარდა, სოციალურმა მუშაკმა აქცენტი აუცილებლად უნდა გაკეთოს იმ სკოლაზე, სადაც არასრულწლოვანი სწავლობს და პირებზე, რომელთანაც ის მეგობრობს. უნდა მოხდეს სასწავლო გარემოს შესწავლა, მასწავლებლებისა და თანაკლასელების

[88] მახარობლიძე თ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 84

გაცნობა და იმის განსაზღვრა, შეიცავს თუ არა ეს გარემოცვა არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბების რისკს. იგივე უნდა ითქვას არასრულწლოვნის მეგობრებზეც. აუცილებლად უნდა მოხდეს მათი პიროვნების, ყოველდღიური ცხოვრებისა და ქცევების შეფასება და საბოლოო ჯამში იმის გადაწყვეტა, დადებითი ზეგავლენის მქონეა თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისათვის მათთან ურთიერთობა.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბების ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი დროის გეგმის გარეშე გატარება. ამიტომ, ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას, ეს გარემოება მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაარკვიოს თავისუფალი დროის გატარების რა ხერხებს ანიჭებს არასრულწლოვანი უპირატესობას და შეაფასოს, დროის ამგვარად გატარება არის თუ არა არასრულწლოვნისთვის სასარგებლო.

ყოველივე ამ გარემოების გარკვევისა და შეფასების შედეგად, სოციალურმა მუშაკმა უნდა შეადგინოს რეკომენდაცია, არასრულწლოვნის სწორად განვითარებისათვის აუცილებელი ცვლილებებისა თუ დამატებითი ღონისძიებების შესახებ და წარუდგინოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მომთხოვნ პირს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია განრიდების ღონისძიების გამოყენებისა თუ სასჯელის დანიშვნის დროს, გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

&3 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება პატიმრობის გადაწყვეტილების დროს

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილით ზუსტად არის გაწერილი სისხლის სამართლის პროცესის ის სტადიები, რომლებზეც სავალდებულოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება. საგულისხმოა, რომ ეს ჩამონათვალი არ მოიცავს არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა თუ შეცვლის სტადიებს, რაც არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. ზოგადად, აღკვეთის ღონისძიება, თვის თავში, ბრალდებულის ამა თუ იმ უფლების შეზღუდვას გულისხმობს, რომელიც შეიძლება მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე იქნას გამოყენებული. აღნიშნული საკითხი კი არასრულწლოვნების მიმართ უფრო სათუთია, ვინაიდან, ისევე როგორც სრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯუკების კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილით, დაშვებულია არასრულწლოვანი ბრალდებულისადმი აღკვეთის ღონისძიებს სახით პატიმრობის

გამოყენება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, როგორც სრულწლოვანი, ისე - არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიებებიდან პატიმრობის წილმა, 2018 წელს, 43,1% შეადგინა, 2019 წლის პირველი სამი თვის მანძილზე კი - 50,6%.[89] ეს მონაცემი ფრიად საგანგაშოა. მასზე დაყრდნობით, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღვეთის ღონიძიების შეფარდებისას, განსაკუთრებით, პატიმრობის გამოყენების დროს, რომელიც კანონთნ კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებებში ჩარევის ყველაზე ინტენსიურ ფორმას წარმოადგენს, აუცილებელია მოსამართლემ ინდივიდუაური შეფასების ანგარიშით იხელმძღვანელოს. მანამ, სანამ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ კი, პატიმრობის, შეფარდების დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების თაობაზე, პირველ რიგში საჭიროა თავად პატიმრობის ღონისძიების განხილვა.

3.1 - პატომრობა, როგორც არასრულწლოვანი ბრალდებულისადმი გამოსაყენებელი უკიდურესი ღონისძიება

იმისათვის, რომ საზოგადოება დემოკრატიულად მიიჩნეოდეს, ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუვალობის უფლება უზენაესად უნდა იყოს დაცული, რაზეც არაერთი საერთაშორისო აქტი მეტყველებს, პირველ რიგში კი, 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“. აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა ამავე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვისას.[90] პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთით, მის გადაადგილების თავისუფლებასთან ერთად, ასევე იზღუდება თავისუფალი ნება, ჰქონდეს ურთიერთობა გარესამყაროსთან, მის ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე მუხლი, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან ერთად განამტკიცებს თავისუფლების პრეზუმფციასაც, რომლის თანახმადაც, „პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა“. „თავისუფლების პრეზუმფცია გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებისა და ხანგრძლივობის მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის და მინიმალური ხანგრძლივობით გამოყენებას, საჯარო ინტერესის არსებობის

[89] წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

[90] იხ. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

შემთხვევაში, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა“.[91]

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია იცავს პირს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისაგან, თუმცა, კანონის ფარგლებში მისი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შეზღუდვას არ გამორიცხავს. მსგავსი შემთხვევა გვაქვს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართაც. კერძოდ, ბავშვისათვის თვისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა იგი უკიდურეს ღონისძიებად უნდა იქნეს გამოყენებული, რაზეც საუბარია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, ისე, საქართველოს კანონმდებლობაშიც.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. მისი დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში.[92] კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც, რომლის მე-9 მუხლითაც პრინციპის დონეზე არის გაწერილი პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების დასაშვებობა. უფრო დეტალურად, აღნიშნული მუხლის მიხედვით, დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა მაშინ, თუ კანონის მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებითაც არის შესაძლებელი. ამასთან, არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. მართალია ამკ-ის მე-9 მუხლის სათაურია „პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება“, მაგრამ თავისი შინაარსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ეს მუხლი პატიმრობასთან ერთად მოიცავს თავისუფლების შეზღუდვის ისეთ ღონისძიებებსაც, როგორიცაა დაკავება, თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა სასჯელები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას დასაშვებია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება. ეს საფუძვლებია:

ა) თუ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

---

[91] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წელი, გვ. 57

[92] იხ. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 37, პუნქტი „ბ“

ბ) თუ პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) ან თუ მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული გარემოებები. ბრალდების სიმძიმე და მიმალვის საშიშროება, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.[93] ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია მართლმსაჯულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა. მოსამართლემ, ბრალდებულისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს ამისათვის საჭირო როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე, მოსამართლემ, აღკვეთი ღონისძების შეფარდების დროს უნდა იხემძღვანელოს დასაბუთებული ვარაუდის პრინციპით, რომელიც დაკმაყოფილებული იქნება ხელთ იმ ფაქტებისა თუ ინფორმაციის ქონისას, რომელთა ერთობლიობაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. სწორედ ეს ფაქტები და ინფორმაცია იგულისხმება ფაქტობრივ საფუძველში.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველს, აქ უკვე მოსამართლემ უნდა იმსჯელოს ბრალდებულთან მიმართებაში არსებული საფრთხეებისა და კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე.[94]

არასრულწლოვანი ბრალდებულისადმი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პიროვნება, განვითარების დონე, ოჯახური მდგომარეობა და სოციალურ-ეკონომიკური პირობები. სავალდებულოა, საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულისთვის დამახასიათებელი

[93] მჭედლიძე ნ, „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“, 2017 წელი, გვ. 55

[94] ქვრივიშვილი თ, „ არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 104

ინდივიდუალური თავისებურებანის გათვალისწინებაც, რაც, საბოლოო ჯამში პატიმრობის გამოყენება/არ გამოყენების საკითხისათვის გადამწყვეტი იქნება.

ვინაიდან პატიმრობა, სხვა აღკვეთ ღონისძიებებთან შედარებით, არის ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმა, მისი შეფარდებისას, გარდა ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებების არსებობისა, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობაც, რაც გულისხმობს იმას, რომ გამოყენებული ღონისძიება ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

პატიმრობის თაობაზე საუბრისას აუცილებელია ყურადღება მისი გამოყენების ვადებზეც გამახვილდეს. ბავშვთა უფლებათა დაცვის კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია სასამართლო პროცესებთად დაკავშირებული დაყოვნების თაობაზე, რომელიც მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ სამართლებრივი ზომები, რომლის მიხედვითაც სასამართლო/არასრულწლოვანთა მოსამართლე ან კომპეტენტური ორგანო ვალდებული იქნება, საბოლოო გადაწყვეტილება ბავშვისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ საქმის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიიღოს.[95] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ამ რეკომენდაციამ ასახვა ჰპოვა. კერძოდ, ამკ-ის 64-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით არასრულწლოვანი ბრადლებულებისათვის დადგენილია სრულწლოვნებისაგან განსხვავებული პატიმრობის ვადები. ამ ნაწილების მიხედვით, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს დაკავებიდან 40 დღეს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

მისასალმებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ასეთი პატიმრობისა და ზოგადად, სამართალწარმოების შემჭიდროვებული ვადების დაწესება. მისი სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, ხანგრძლივმა სასამართლო პროცესებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ფსიქიკას. ამიტომ, სასამართლომ, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ამ გარემოებასთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის მომავალში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ხელახალი აღზრდის მიზნები და თვისუფლების შემზღუდველი ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა დაკავება, პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა, გამოიყენოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

[95] იქვე გვ. 110

&3.2 – „გამარტივებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში“ - არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდების აუცილებელი წინაპირობა

ბრალდებულისათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი სტადიაა და კანონმდებლის გადაწყვეტლება, მისი ამკ-ის 27-ე მუხლით გაუთვალისწინებლობის თაობაზე, უარყოფით შეფასებას იმსახურებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდებას ეხება. წინა ქვეთავებში უკვე იყო საუბარი იმაზე, თუ რა სახის ზეგავლენა შეიძლება იქონიოს არასრულწლოვანზე პენიტენციალურ დაწესებულებაში მოხვედრამ.

მართალია, ამკ-ის 27-ე მუხლში არ არის საუბარი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სტადიაზე, თუმცა, მითითებულია არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საჭიროებისამებრ გათვალისწინების თაობაზე.[96] რას უნდა ნიშნავდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საჭიროებისამებრ გამოყენება? აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის ერთმნიშვნელოვან მოთხოვნად მიიჩნია პატიმრობის შეფარდებისას ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა.[97] სტრასბურგის სასამართლოს ამ განმარტების საფუძველზე, ამკ-ის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილის ჩანაწერი, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის აუცილებლად გამოსაყენებლად, არასაკმარის და დაბალ სტანდარტად უნდა შეფასდეს. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დროს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სასჯელის დანიშნვნის დროს, ამიტომ, აუცილებელია, რომ მოსამართლემ, ყოველ ჯერზე, როცა ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენება არის მოთხოვნილი, გაეცნოს მის ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების თაობაზე.

იმისათვის, რომ პატიმრობის გამოყენების დროს სავალდებულო გახდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება, აუცილებელია ამ პროცედურის კანონმდებლობით გაწერა. აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაემატოს როგორც, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლს, ისე, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივ ბრძანებას და

[96] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 27, ნაწილი 8

[97] ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., „წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი“, 2010 წელი, გვ. 67; იხ. შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016 წელი, გვ.27 http://www.dgstz.de/storage/documents/LpISisA2JEZcb3F1i9FhteuYZp96IBFaq3xgFA7j.pdf

გაიწეროს შესაბამისი ინდივიდუალური შეფასების მომზადების წესი, სტანდარტები და მეთოდოლოგია.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის დაკავების შემდეგ, მაგისტრატ მოსამართლეს, შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, უნდა წარედგინოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მოცემული მუხლის საფუძველზე, აშკარაა, რომ როგორც პროკურორს, ისე მოსამართლეს სამუშაოდ შემჭიდროვებული ვადები აქვთ, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების შესაძლებლობას. მართალია, სტანდარტული ანგარიშის მოსამზადებლად დრო საკმარისი არ არის, თუმცა შეიძლება, კანონმდებლობით ე.წ. „გამარტივებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის“ ცნების შემოღება, რომლის გამოყენებაც მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის იქნება აუცილებელი და რომლის მოსამზადებლადაც განსხვავებული წესები და სტანდარტები დაწესდება. პირველ რიგში, მისი მომზადებისთვის უნდა განისაზღვროს ნაკლები დრო, კერძოდ 24 საათი, რათა პროკურორი ჩაჯდეს მისთვის ამკ-ის 54-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო სოციალურ მუშაკს მიეცეს საკმარისი დრო, ბრალდებულ არასულწლოვანთან შესახვედრად, მასთან სასაუბროდ და გამარტივებული ანგარიშის მოსამზადებლად. ასევე უნდა შეიცვალოს ანგარიშის ფორმაც, იყოს უფრო მცირე და მარტივი, რაზეც თავად სათაური „გამარტივებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიც“ მიუთითებს. ანგარიშში მიეთითოს ზოგადი ინფორმაცია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ; მონაცემები მის ოჯახზე; ინფორმაცია, კანონსაწინააღმდეგო ქმედებასა და არასრულწლოვნის დამოკიდებულებაზე. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, სოციალური მუშაკის მიერ შეივსოს ანგარიში და სარეკომენდაციო გრაფა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე.

შემდეგ ეტაპად, მომზადებული „გამარტივებული ანგარიში“, საქმის სხვა მასალებთან ერთად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომამდე, უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს, რომელმაც, მასზე დაყრდნობით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის თაობაზე.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისასალმებელია, თუ კანონმდებლობაში შევა ასეთი სახის ცვლილება, უშუალოდ კანონით იქნება მოთხოვნილი არასრულწლოვანი ბრალდებულისადმი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნისას მისი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენის აუცილებლობა და პრაქტიკაში დაინერგება ე.წ. „გამარტივებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის“ გამოყენება, მისი ფორმა, მომზადების წესები და სტანდარტები კი გაიწერება მინისტრთა ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანებით.

თავი IV. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ქართულ მართლმსაჯულების პრაქტიკაში

&1 - მართლმსაჯულებაში გამოყენებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების განზოგადება და მისი შედეგები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სხვადასხვა ცვლილების შესვლისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის გავრცელებულობის გათვალისწინებით, დღევანდელ ქართულ მართლმსაჯულებაში უფრო და უფრო ხშირია ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა და გამოყენება, მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკაში, აღნიშნულ ანგარიშს, ამკ-ით გათვალისწინებულ ხუთივე სტადიაზე იყენებენ, თუმცა, ამ თავში საუბარი იქნება სასამართლო პრაქტიკაში, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს გამოყენებულ ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშებსა და მის შედეგებზე.

შესწავლილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, სხვადასხვა კუთხით, შესაძლებელია რამდენიმე გარემოების გამოყოფა. ერთი მხრივ, გამოიკვეთა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის დამახასიათებელი ერთნაირი ფაქტორები, მეორე მხრივ კი - სოციალური მუშაკების მხრიდან გაცემული რეკომენდაციების მსგავსება.

ვისაუბროთ უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების კვლევის შედეგად, პირველი მსგავსება რაც გამოიკვეთა არის დანაშაულის სახე. ანგარიშების მიხედვით, დელიქვენტი არასრულწლოვნები ძირითადად ეკონომიკური სახის დანაშაულებს, უფრო ხშირად კი ქურდობას ჩადიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი არასრულწლოვნისთვის, სასამართლოს მიერ მოცემულ ეტაპზე განსახილველი კანონდარღვევა არ იყო პირველი შემთხვევა.

მეორე მახასიათებელი, ეს არის ოჯახური მდგომარეობა. კერძოდ, შესწავლილი ანგარიშების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არც ერთი არასრულწლოვანი არ ცხოვრობდა მთლიან ოჯახში, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ცხოვრობდნენ ერთ-ერთ მშობელთან ან გარეშე პირებთან. ამასთან ერთად, თითქმის ყველა არასრულწლოვნის ერთი მშობელი მაინც იმყოფებოდა კანონთან კონფლიქტში და იხდიდა შესაბამის სასჯელს. დამატებით, თითქმის ყველა არასრულწლოვნის ის მშობელი, რომელთანაც ეს უკანასკნელი ცხოვრობდა, მოიხმარდა ალკოჰოლურ ან/და ნარკოტიკულ საშუალებას და ავლენდა აგრესიულ ქცევას.

კიდევ ერთი მსგავსება, რაც ყველა არასრულწლოვანს აერთიანებს არის ის, რომ დანაშაულის ჩადენის დროს სავალდებულო სასკოლო ასაკის მიუხედავად არც ერთი მათგანი არ დადიოდა სკოლაში. თითოეულ შემთხვევაში, აღნიშნულის მიზეზად

დასახელებულია სწავლისადმი ინტერესის არქონა, რის შედეგადაც, არასრულწლოვნებმა ან საკუთარი ნებით მიატოვეს სასწავლებელი, ან გარიცხულ იქნენ სკოლებიდან.

ყოველივე ზემო ანიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკების მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში მითითებულია, რომ არასრულწლოვნებს ჰქონდათ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო, რომელსაც, ძირითადად ქუჩაში ატარებდნენ. ისინი განიცდიდნენ უკონტროლობასა და საკუთარი თავის ამარა იყვნენ დარჩენილები, რაც დანაშაულის ჩადენის რისკის შემცველ ფაქტორად არის დასახელებული.

აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი თითოეული არასრულწლოვნის სამეგობრო წრე შედგებოდა ანტისოციალური პირებისგან და თავად არასრულწლოვნები, სოციალურ მუშაკთან ინტერვიუს განმავლობაში აღნიშნავდნენ, რომ მათთან ერთად არაერთხელ განუხორციელებიათ კანონის საწინააღმდეგო ქმედება.

კიდევ ერთი გარემოება, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფ ყველა იმ არასრულწლოვანს აერთიანებს, რომელთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიც იქნა შესწავლილი, არის ის, რომ თითოეულ მათგანს გასინჯული ჰქონდა და მოიხმარდა სხვადასხვა სიმძიმის ნარკოტიკულ საშუალებას, ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად, რაც ასევე, დანაშაულის ჩადენის რისკის შემცველი ფაქტორია.

რაც შეეხება სასამართლოსთვის მიწოდებულ რეკომენდაციებს, რომლებიც იმ სოციალურმა მუშაკება გასცეს, რომლებმაც არასრულწლოვანთა შეფასება განახორციელეს. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ რეკომენდაციები ყოველ ჯერზე ერთმანეთის მსგავსია. შესაძლოა, აღნიშნული იმ გარემოებითაც იყოს გამოწვეული, რომ რამდენიმე არასრულწლოვნის განხილული სხვადასხვა საქმის გარემოება, ამა თუ იმ კუთხით, ერთმანეთის მსგავსია.

მოკლედ რომ აღიწეროს, სოციალური მუშაკები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში, არასრულწლოვნების მიმართ განსახორციელებელი ქმედებების შემდეგ რეკომენდაციებს იძლევიან: კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობის რეკომენდაციას, ცხოვრებისეული ფასეულობების გააზრების, დანაშაულის გაცნობიერებისა და ემოციების მართვის შესწავლის მიზნით. რეკომენდაცია ასევე შეიცავს ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას, ძალადობს რაობისა და მისი შედეგების, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების რისკებისა და საფრთხეების შესახებ. გარდა ამისა, ხაზგასასმელია მუშაობის აუცილებლობა ასერტული უნარების გაძლიერების, სწავლის მიმართ მოტივაციის ამაღლებისა და მომავლის დაგეგმის კუთხით. სოციალური მუშაკები ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ოჯახებთან მუშაობას, მათი მხრიდან მოზარდის ქცევის მართვისა და მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

&2 - რეკომენდაციები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასებისთვის

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების კვლევისას გამოიკვეთა, რომ დროის არასაკმარისობისა და არასრულწლოვნების მხრიდან ინტერესის არქონის გამო, სოციალური მუშაკები ხშირად ვერ ახერხებენ მათთან პირადად შეხვედრას, რის გამოც, კომუნიკაციის დამყარება ტელეფონისა თუ სოციალური ქსელის მეშვეობით უხდებათ. ხოლო იმ შემთვევაში, როცა ეს გზაც გამოუსადეგარია, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შეფასებას, სოციალური მუშაკები, მათ მიმართ ადრე შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებსა და მოზარდებთან დაახლოებული პირების ინტერვიურების შედეგად ახდენენ.

რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნება, თუ არასრულწლოვანთან ჩატარდება ინტენსიური გასაუბრება იმისათვის, რომ მოხდეს მოზარდისთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მისი მნიშვნელობის ახსნა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არასრულწლოვანში პრობაციის ბიუროსთან და სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობის სურვილის გაღვივებას, საბოლოოდ კი - სისხლის სამართლის საქმის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისდან გამომდინარე წარმართვას. ამასთან, როგორც წინათ უკვე აღინიშნა, რეკომენდირებულია სოციალური მუშაკებისათვის არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებისათვის გამოყოფილი დროის გაზრდა, რათა, წარმოებაში არსებული საქმეების გათვალისწინებით, სოციალურ მუშაკს მიეცეს საკმარისი დრო, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირადად შესახვედრად მაშინ, როცა მოზარდი თავად უარს ამბობს გამოცხადებაზე. დროის გაზრდა კი, თვის მხრივ, ხელს შეუწყობს უფრო დეტალური და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე ინდივიდუალურად მორგებული რეკომენდაციების შემუშავებას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მოპყრობის აუცილებლობა, რასაც საფუძვლად, პირველ რიგში მოზარდისთვის დამახასიათებელი თავისებურებები უდევს. არც ერთი არასრულწლოვანი, ისევე როგორც, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული და გარემოება, რომელშიც ეს ქმედება განხორციელდა, არ არის იდენტური და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას.

ნაშრომში განხილულ იქნა როგორც საერთაშორისო, ისე შიდა საკანონმდებლო სტანდარტები, რომლებიც დაწესებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოზარდის ინტერესების მიხედვით წარმართვისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშნველოვანია ქართული კანონმდებლობა. უდავოა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პროგრესული და პოზიტიური ნაბიჯია ქართულ მართლმსაჯულებაში. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება და პირველ ადგილზე წამოწევა სწორედ რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინტერესებს ემსახურება.

სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა და გამოყენება საუკეთესო გზაა კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველსაყოფად. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ანალოგად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა დასახელდეს ე.წ. „სოციალური ანგარიში“, რომელსაც მოსამართლეები არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს იყენებენ. მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება პროგრესული და აუცილებელიცაა, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ კუთხით ბევრი რამ არის დასახვეწი, პირველ რიგში კი, აუცილებელია აღნიშნული ინსტიტუტის შემოღება არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას. გარდა ამისა, აუცილებელი ცვლილება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური შეფასებისთვის დაწესებული დროის კუთხითაც. უმჯობესი იქნება, თუ კანონი განსაზღვრავს მხოლოდ შეფასებისთვის გამოყოფილ მინიმალურ ვადას, სციალური მუშაკი კი, საქმის სირთულიდან გამომდინარე, თავად გადაწყვეტს რა დრო დასჭირდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სათანადოდ შეფასებისთვის, იმგვარად, რომ თავიდან აირიდოს მისი სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურება.

პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ დღევანდელობაში არაერთი რისკის შემცველი ფაქტორია, რომელიც მოზარდებს დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების უმეტესობას არ გააჩნია ცხოვრებისეული გეგმა და არ იცის რას გააკეთებს მომავალში. რა თქმა უნდა,

მათ არ სურთ სისტემაში კვლავ მოხვედრა, თუმცა, არც დანაშაულის განმეორებით ჩადენის შესაძლებლობას გამორიცხავენ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია დანაშაულის გამომწვევ ფაქტორებთან ბრძოლის გეგმის დასახვა და განხორციელება, ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან ინდივიდუალური სოციალური მუშაობების გაძლიერება, მათი შესაბამის პროგრამებში ჩართვა, ინტერესის სფეროს გაფართოებისა და სამომავლო გეგმის დასახვის მიზნით, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მოზარდების რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრირებას.

ბიბლიოგრაფია

სახელმძღვანელოები, სტატიები, კვლევები და რეკომენდაციები:

1. შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016
2. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი), რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბილისი, 2016
3. ი. გოძიაშვილი, კრიმინოლოგია. თბილისი, 1998
4. ნაჭყებია გ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011
5. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თვი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. GIZ, 2013,
6. კუბლაშვილი კ, ძირითდი უფლებები, 2008
7. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015
8. ჰამილტონი ქ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, 2011
9. ჩხაიძე ა, „გარდატეხის ასაკი (11-18 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება) მშობლის მეგზური“, world vision, 2018
10. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 105-ე სხდომაზე)
11. მახარობლიძე თ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017
12. კელენჯერიძე ი, „არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზები და პირობები; მოზარდის პიროვნება, როგორც სუბკულტურის ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები“, ალმანახი 2004 №19, სისხლის სამართალი (III)
13. ჭანტურია ლ. „ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისთვის“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017
14. მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017
15. ლოლაძე ბ. „სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?“, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (რედ. კორკელია კ.), 2012,
16. ბავშის უფლებათა კომიტეტი, ბავშის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995), გაეროს დოკუმენტი CRC/C/43

17. ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017
18. ქელბაქიანი ა, ცაგარელი ნ, ტურაზაშვილი გ., „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში: კვლევა“
19. ლეკვეიშვილი მ, „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016
20. მჭედლიძე ნ, „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“, 2017 წელი
21. ქვრივიშვილი თ, „ არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017
22. ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., „წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი“, 2010 წელი
23. შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016
24. ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში“, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2012
25. კავთუაშვილი ე., „არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია“, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბილისი, 2013
26. კავთუაშვილი ე., „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი - ფსიქოლოგიურ, თეოლოგიურ, პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში“, მართლმსაჯულება და კანონი №4, თბილისი, 2016
27. კავთუაშვილი ე., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!“, სამართალი და მსოფლიო№4, 2016
28. შეყილაძე ხ., „ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრონციპის არსი“, სამართლის ჟურნალი №1, 2016
29. გაეროს უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007
30. Gina M. Vincent, Laura S. Guy, Thomas Grisso, “Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook For Implementation”

31. “Parenting Styles and Rising Deliquent Children: Responsibility of Parents in Encouraging Violent Behavior”, Forensic Research & Chriminology International Journal, 2016
32. Hammarberg T., “The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults”, Strasbourg, 2008
33. Blanchfield L., “The United Nations Convention on the Rifhts of the Child: Background and Policy Issues”, 2010
34. Hammarberg T., “The Child’s Best Interest: a generally applicable principle”, Stockholm, 2008

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995წ. 24 აგვისტო
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ. 22 ივლისი
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1999 წ. 22 ივლისი
4. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წ. 12 ივნისი
5. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე
6. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება
7. ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი
9. „ბავშის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი
10. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, „პეკინის წესები“
11. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, „რიადის პრინციპები“
12. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად, „ჰავანის წესები“
13. გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმი
14. Declaration on the Right to Development, Adopted by General Assembly resolution 41/128 of 4 December 1986

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://www.wvi.org/
2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90
3. http://www.supremecourt.ge/statistics
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3538
5. http://www.dgstz.de/storage/documents/LpISisA2JEZcb3F1i9FhteuYZp96IBFaq3xgFA7j.pdf
6. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl5.pdf
7. http://pc.gov.ge/

დამატებით გამოყენებულ იქნა 5 არასრულწლოვანი ბრალდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.